

619
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივლისი №7 1975 წ.

# დროშა


ეროვნული ბიბლიოთეკა

1975 წლის 13 ივნისს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება, რომელზეც ამომრჩევლები შეხვდნენ რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

სურათზე: ლ. ი. ბრეჟნევი.

იყო იდეური — ნიშნავს მიგაჩნდეს შენი შრომა დიადი საერთო საქმის — კომუნიზმის მშენებლობის ნაწილად, შეგნებული გქონდეს და გრძნობდე, „როგორ ერთვის შენი შრომა რესპუბლიკის შრომას“, როგორც პოეტმა თქვა. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ეს ნიშნავს არ ურიგდებოდე ეგოიზმსა და უძრაობას, მოდუნებას და დოყლაპიობას, ობივატელურ გულგრილობასა და წამგლეჯაობას.

ეს ნიშნავს მოითხოვდე საკუთარი თავისა და სხვებისაგან შრომის დისციპლინის უმკაცრესად დაცვას. ხალისით, ინიციატივიანად, მთელი ძალღონით მუშაობას.

ეს ნიშნავს მხურვალედ გიყვარდეს შენი დიადი სოციალისტური სამშობლო და გწამდეს, რომ ჩვენი წარმატებები — ეს არის წვლილი მტკიცე მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის ყველა ხალხის ბრძოლის საერთო საქმეში. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

სხვანაირად რომ ვთქვათ, ამხანაგებო, იყო იდეური — ნიშნავს იყო აქტიური და შეგნებული მებრძოლი კომუნიზმისათვის, მისი დიადი იდეალების გამარჯვებისათვის. (ტაში).

ლ. ი. ბრეჟნევი

(1975 წლის 13 ივნისს წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმული სიტყვიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXV ყრილობის შესახვედრად

# ეს კალათა ვისია...

ეს კალათა ჩვეულებრივი კალათაა, ისეთი როგორიც ყველა მეჩაიეს აქვს არა მარტო ჯუმათში, არამედ მთელს გურიაში და მთელს საქართველოში. ასეთი კალათები რამდენიც გნებავთ იმდენია, თანაც ძალზე იაფი ღირს.

აქ კი ჯუმათში, ნუგზარ ჩხარტიშვილის ბრიგადაში ოცდაათი კაცი ეცილება ერთმანეთს ამ კალათას. ახალგაზრდები კიდევ ჰო, ქალები კიდევ ჰო, მაგრამ ამ დადინჯებულ მამაკაცებს რაღა დაემართათ?!

ამ ოცდაათი კაციდან ოცი მაინც ჩხარტიშვილია. ჰოდა, სტაცებენ ერთმანეთს ხელიდან ამ გიდელივით წაგრძელებულ კალათას სახლიკაცები — დიდები, პატარები, მოხუცები, ქალები, მამაკაცები.

ამ კალათაზე ლექსიც კი გამოთქვეს სოფელში:

„ეს კალათა ვისიაო,
ვინც წაიღებს, მისიაო...“

კვირაში ერთხელ ხავთასისოულში ნუგზარ ჩხარტიშვილი, კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვალერიან ჩხარტიშვილი და ბრიგადის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ალექსი ჩხარტიშვილი ოცდაათი კაციდან ერთს გამოარჩევენ და საზეიმოდ გადასცემენ ამ ხის ჯილდოს. წლეულს, მაისში, თითქმის მთელი თვის მანძილზე, კალათა ნუგზარ ჩხარტიშვილთან ინახებოდა.

..., წვიმდა, წვიმდა დღეგამოშვებით, ზოგჯერ ერთიმეორეზე მიყოლებით, ნიადაგი ალაფებული იყო, ჩაის დუყები ზოზინით ამოდიოდნენ ფოთლებიდან.

ლიანა ჩხარტიშვილი ყოველდღე სულ რაღაც 10-15 კილოგრამ ფოთოლს კრეფდა. ცალ-ცალკე ამდენივეს კრეფდნენ მისი რგოლის წევრებიც.

მაინც, რა უმადურად გაიარა მაისმა! ასეთი მაისი ლიანას არც კი ახსოვს.

— გუშინ მზევინარ დარჩიამ 20 კილოგრამი მოკრიფა, — ეუბნებიან ბრიგადირს რგოლის წევრები, — გამოიტანე ახლა ის კალათა და მიეცი მზევინარს, არ ეკუთვნის თუ?!

— მოითმინეთ, ცოტაც მოითმინეთ, აი ნამდვილი კრეფა დაიწყება და მზევინარს კი არა, ყველას შეგახვედრებთ! — აიმედებს ნუგზარი მეჩაიეებს.

ლიანა არაფერს ამბობს, როცა ამ კალათაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, იგი იღიმება მხოლოდ.

საღამო ხანს ცამ სულ მოიხსნა პირი, მეჩაიეებმა ფარდულს შეაფარეს თავი.

ლიანას შინ მიეჩქარებოდა, კალათი თავზე წამოიხურა და გასაქცევად მოემზადა, ბრიგადირმა შეაჩერა, ცოტას გადაიღებსო. დარჩა, მაგრამ ვაი ასეთ დარჩენას, თვალი სულ შინისკენ ეჭირა.

— მამა ხომ კარგად არის? — ჰკითხა ბრიგადირმა.

— მამა? არა, ავად არ არის! — ისე თქვა ლიანამ, კაცს პირიქით უნდა გაეგო.

ბეჟან ჩხარტიშვილი, ლიანას მამა, მართლაც, შეუძლოდ იყო — ძველმა ჭრილობამ გაახსენა თავი. ამ რამდენიმე წლის წინათ ავტოავარიაში მოჰყოლია და ძლივს გადაურჩენიათ ექიმებს.

... ლიანა სულ გაწუწული და ლაფში ამოსვრილი მივიდა შინ. მალე ბრიგადირი და რგოლის რამდენიმე წევრიც მოჰყვა. ბეჟანი, რომელიც ლოგინში უნდა წოლილიყო, სარდაფში ღვინის ჰურჭელს რეცხავდა.

— დილით ავად იყო და... — გაოცებული „იმართლებდა“ თავს ლიანა.

— ახლა, რახან კარგად დაგიხვდით, — ფართოდ იღიმება მასპინძელი, — თითო ჭიქით უნდა დამლოცოთ!

ნუგზარმა ჭიქა შეავსო, ოჯახის უფროსები ადღეგრძელა, მერე ლიანას წარმატება უსურვა შრომაში, ცხოვრებაში, სადეპუტატო საქმიანობაში.

— ჯერ დეპუტატობამდე ძალზე შორსაა! — ჩაილაპარაკა ლიანას დედამ.

— რატომ? არჩევნები ხომ 15 ივნისსაა?!

— მერე, აირჩევენ? — თავისთვის თქვა ბეჟანმა, მაგრამ ყველამ კი გაიგონა.

— რახან დავასახელეთ, ავირჩევთ კიდეც! — მთელი ბრიგადის აზრი გამოთქვა ნუგზარმა.

ლიანას ამ საკითხზე ლაპარაკი რატომღაც სულაც არ სურდა. ლაპარაკი არ სურდა, თორემ ისე მთელ ღამეებს თეთრად ათენებდა, ფიქრობდა, რა უნდა გაეკეთებინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად რომ აირჩევდნენ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გზისთვის იზრუნებდა, კიდევ რა? კიდევ...



ლიანა ჩხარტიშვილი თავის ნაკვეთში.

ა. გოგოლაძის ფოტო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 7 (463) ივლისი, 1975 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1975



მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ო. დემეტრაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ს. დურმიშიძე, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლ. სულაბერიძე, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე

საზ. საზ. რესპუბ.

უეცრად დასავლეთით ცა წითლად გაიხა და ძლიერად დაიქუხა.

— ათი ტონა ბევრი არ არის?! — გადაულაპარაკა ბეჟანმა წასასვლელად გამზადებულ ბრიგადირს, როცა ქუხილის ხმა მიწყდა. პასუხს აღარ დაელოდა და განაგრძო:

— არ ვიცი, მე ოჯახის სახელს ვუფრთხილდები, ჩემო კარგო!

წელს იანვარში, როცა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებებს აფორმებდნენ, ლიანამ 9 ტონა ჩაის მოკრეფა იკისრა, რვა ათას მეტრ ფართობზე 9 ტონა. მერე აპრილში, სწორედ სეზონის წინ, ქუთაისში გამართულ მეჩაიეთა ტრადიციული შეკრების შემდეგ იმ 9 ტონას ერთიც მიუმატა. სწორედ მაშინ იყო, რომ შეფიქრიანებულ მამას უთხრა, თუ გარდამავალი კალათა პირველადვე მე დავიმსახურე, იცოდე, ვალდებულებას პირნათლად შევასრულებო.

ათი ტონა ჩაი ყუთებში რომ ჩაყარო, ხუთ სატვირთო მანქანას აავსებს. ათი ტონა ჩაი ერთ წელიწადში ეყოფა დაახლოებით ხუთი ათას კაცს.

მშობლები ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან შვილის ახალ ნაბიჯს, ეს გასაკვირი არც არის!..

სტუმრები აიშალნენ, წასვლისას ბრიგადირმა ლიანას დაუბარა, ხვალაც თუ ასე კოკისპირულად იწვიმა, საკრეფად ნუ გამოხვალო.

— წვიმაში კრეფა ვის გაუგია, შეიძლება გაცივდე კიდეც, თანაც, აბა, რა ხარისხი ექნება ასეთ თავსხმაში ნაკრეფ ჩაის?! — დაარიგა დედამ ქალიშვილი.

— არც მე მეხალისება, მაგრამ ამინდს რომ პირი არ უჩანს? მერე იმას ხომ ვერ ვიტყვი, წვიმა იყო და გეგმა ვერ შევასრულე-მეთქი.

ყველაფერს საზღვარი აქვს და აი, ცამაც პირი შეიკრა, მიწა გაშრა.

ლიანა ჩხარტიშვილის ნაკვეთი ორ მაღლობზეა შეფენილი. გზიდან რომ გადახედავ, გადაშლილ წიგნს მოგაგონებს, ჩაის მწკრივები კი სტრიქონებს ჰგავს, მწვანე მელნით სქლად დაწერილ სტრიქონებს. ამ სტრიქონების ავტორიც და მკითხველიც აგერ ხუთი წელიწადია ლიანა ჩხარტიშვილია.

სავსე კალათა გზის პირას უდგას ლიანას, ფოთოლი რომ არ დაჭკნეს, ზედ ტილო გადაუფარებია, თვითონ კი ტრაქტორის მოსვლამდე წინსაფრის კალთაში ყრის ფოთოლს. აბა, უქმად ხომ არ დადგება, სანამ კარლო მოისწრაფიშვილი თავის „ბელარუსს" მოარახრახებს?!

კარლო კოლმეურნეობის ტრაქტორისტია. იგი დღეში ორჯერ, თავისი მისაბმელიანი „ბელარუსით" მეჩაიეებს ჩამოუვლის და ნაკრეფი პუნქტში მიაქვს. დღეს მეორე ჩამოვლაზე ცოტა შეაგვიანდა გაღმა ნაკვეთში და მეშვიდე ბრიგადის წევრები უკვე მოუსვენრად იცქირებოდნენ საათზე.

— გამოადგი მაგი მოხატები ფეხი! — აყაყანდნენ ქალები მათკენ ნელა მიმავალი ტრაქტორი რომ დაინახეს.

კარლოს თუ გინდა კისერმოხატები დაუძახე, სულ ერთია, მანქანის თუხთუხში არაფერი ესმის.

ქალებს რომ გაუსწორდა, მანქანა დაამუხრუჭა.

— აბა, მე, შემოყარეთ ახლა თქვენი გოდრები! — ყვირის კარლო და ჩანამ ქალები ბრძანებას შეასრულებენ, კაბინიდან ხტება და ერთბაშად ორ-ორ კალათას მოხერხებულად დგამს მისაბმელის ძარაზე.

ლიანამ იცის, რომ ერთი კვირის ნაკრეფი 600 კილოგრამი უნდა იყოს. დღეში რომ საშუალოდ 90 კილოგრამი მოკრიფოს, ოთხ თვეში 10.800 კილოგრამი იქნება. დღეს საღამოს უსათუოდ გადასცემენ ვინმეს გარდამავალ კალათას, — ასე თქვა დილით ბრიგადირმა.





● ლიანა ჩხარტიშვილს თავის ნაკვეთში კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა გადასცემს გარდამავალ კალათას.

● ლიანა ჩხარტიშვილი და მისი რგოლის წევრები ბრუნდებიან მორიგი მეცადინეობიდან.



● ლიანა ჩხარტიშვილს ოჯახი ულოცავს დეპუტატობას.

ა. გოგოლაძის ფოტო

ლიანას კალათა სასწორზე ეკიდა, როცა ფარდულში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნოდარ ფაცურია, ვალერიან ჩხარტიშვილი, ალექსი ჩხარტიშვილი, ბაილეთის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ნოდარ თავართქილაძე და ჩაის ფაბრიკების მახარაძის საწარმოო გაერთიანების უფროსი აგრონომი რევაზ ტოტოჩავა შემოვიდნენ.

— ალბათ, ისევ ხარისხი გაინტერესებთ, არა? — იკითხა მწონავმა.

სტუმრებს გაეღიმათ, მაგრამ გამომეტყველება მაშინვე შეიცვალეს და ნაკრეფის გასინჯვას შეუდგნენ. ასეა, ხარისხს სიმკაცრე უყვარს!

დირექტორმა ორი თუ სამი გაუხეშებული ფოთოლი იპოვა, ხელში გასრისა და რატომღაც ჯიბეში ჩაიდო, ალბათ, შეეშინდა, ისევ ნაკრეფში არ მოხვდესო. აგრონომმა დიდხანს ურია ხელი ფაბრიკაში წასაღებად გამზადებულ ყუთებში, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი ნახა. თავმჯდომარე და პარტიული ორგანიზაციების მდივნები მადლიერი თვალებით უცქეროდნენ მეჩაიეებს.

ლიანას კალათაც გახსნეს და მერე სასწორზე ჩამოჰკიდეს.

უშველებელი წითელი მზე ზღვისკენ დაეშვა. მეშვიდე ბრიგადის მკრეფავები ფარდულის წინ იდგნენ და ელოდნენ, ვის იტყოდა ნუგზარ ჩხარტიშვილი, კომისია ვის მიანიჭებდა სასოცნებო გარდამავალ კალათას, რომელიც ახლა სწონავის მაგიდაზე იდო.

— კომისიამ, — დაიწყო ბრიგადირმა, — შეაჯამა შედეგები და პირველი ადგილი მიაკუთვნა... — ნუგზარმა განგებ ჩაახველა, რომ ხალხი უფრო დაეინტერესებინა, მაგრამ ყელში რაღაც [illegible] და ხმა [illegible] ხველება.

— ჰო, გვითხარი ბარემ, და გადაგვარჩინე! — ვერ მოითმინეს კაცებმა.

— პირველი ადგილი და გარდამავალი კალათა მიეკუთვნა ლიანა ჩხარტიშვილს!

— გეინაწილეთ ხომ ჯილდოები ჩხარტიშვილებმა, მეიცადეთ, დარჩიების და კვაჭაძეების დროც დადგება! — წამოიძახა ანზორ კვაჭაძემ და პირველმა მიულოცა გამარჯვება სიხარულისაგან სახეაწითლებულ მერგოლეს.

16 ივნისს ცნობილი გახდა, რომ მახარაძის რაიონის სოფელ ჭუმათის კოლმეურნეობის მერგოლე ლიანა ჩხარტიშვილი ერთხმად აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ამ დღისათვის ლიანას უკვე მოკრეფილი ჰქონდა 5000 კილოგრამი ფოთოლი და მესამედ ფლობდა გარდამავალ კალათას.

ივლისის შუა რიცხვებისათვის მწონავის სქელ დავთარში ლიანა ჩხარტიშვილის გვარის გასწვრივ დიდი ასოებით ეწერა — 7000 კილოგრამი.

მაგრამ დღევანდელი მეჩაიესათვის, მით უმეტეს დეპუტატისათვის, მარტო პირადი მიღწევა როდია მთავარი! ახალგაზრდაა ლიანა, მაგრამ იგი თავის გამოცდილებას, კრეფის ნოვატორულ ხერხებს გულდიად, დაუზარებლად გადასცემს ყველას — რგოლის, ბრიგადის, კოლმეურნეობის ყველა მეჩაიეს.

... გარდამავალი კალათა უკანასკნელად ომარ ჩხარტიშვილთან იყო (ისევ ჩხარტიშვილი!). ამბობენ ივლისის მესამე კვირის შედეგებით ჯილდო ანზორ კვაჭაძეს გადაეცემაო.

ვნახოთ.

**ივერი ტაბიძე**

# შინმოუსვლელის დაბრუნება

ეს ამბავი შარშანწინ მოხდა, სექტემბრის უკანასკნელ კვირა დღეს, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში.

სოფლის ბოლოს ზღვა ხალხი შეგროვილიყო, მძღოლმა ავტომანქანა შეაჩერა და:

— რა ამბავია? — შეეკითხა ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდას, რომელსაც თვალებში ნამი ჩადგომოდა.

— ჯარისკაცს ასაფლავებენ.

— ჯარისკაცს?! — ყველას განცვიფრება გამოგვეხატა სახეებზე.

— ჰო, ომში დაღუპულა... ნიკო რჭმევია.

ნიკო!.. რამდენი ნიკო ველარ დაბრუნდა კაკაბეთში. ნიკო მარგებაძე, ნიკო პაპუაშვილი — ბაჯალა, ნიკო მოველიძე, ნიკო... ბევრი, ძალიან ბევრი ნიკოა შინმოუსვლელი.

— რა გვარიაო?

— პავლიაშვილი!

— მასწავლებელი?

— დიახ, მასწავლებელი ყოფილა. ოცდაცხრამეტ წელს წაუყვანიათ, ომში გმირულად უბრძოლია, მერე კი უგზო-უკვლოდ დაკარგულა... ეხლა უპოვიათ.

შეისვენა და განაგრძო:

— ჩერკასკის ოლქში უპოვნიათ, სოფელ ხრისტინოვკაში... პიონერები ლაშქრობაზე ყოფილან და ჩანგრეულ ბლინდაჟში უპოვიათ. შაშხანა, დანა, ოდეკოლონი, — რაც თან ჰქონია, ყველაფერს გადარჩენილა... მედალიონში სახელი და გვარიც უწერია. გიორგი ნანუაშვილმა წამაკითხა. ჩამოსვენებაც მან ითავა. იჭაურებს უთქვამთ, თუ გინდათ, დატოვეთ, ჩვენ დავასაფლავებთ და ძეგლსაც აუგებთო.

ნიკო მასწავლებელი!..

პატარა ვიყავი მაშინ, ძალიან პატარა. დილაადრიან კოლმეურნეობიდან ზარის გაბმული ხმა მოისმა. ზარი სხვა დროსაც დარეკილა, მაგრამ ასეთი საგანგაშო არასდროს გვჩვენებია.

— ჩქარა!.. ჩქარა!.. ჩქარა! — კი არ რეკავდა, გვიხმობდა ზარი.

ამ ხმაზე მთელი უბანი გამოეფინა, ყველამ კანტორას მიაშურა. აივანზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანო იალანაშვილი გადმომდგარიყო, დაკუმშული ხელი მაღლა შეემართა და ვილაცას ემუქრებოდა.

— რა მოხდა? — იკითხეს მისულებმა დახვედრილ ხალხში.

— ომია!.. ომი!.. გერმანია დაგვესხა თავზე!

თავმჯდომარის შემდეგ სკოლის დირექტორმა ილაპარაკა, მერე — სხვა კაცმა, მერე — სხვამა და მერე კი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, პირხმელი ახალგაზრდა გამოვიდა. ნიკო მასწავლებელიაო, — თქვა ვიღაცამ.

გონებაში აღვადგინე ნიკო მასწავლებლის სიტყვები:

— ნუ გეშინიათ, ამხანაგებო, ჩვენი ჯარი უძლეველია!.. სიმართლეც ჩვენს მხარეზეა!.. წინ ვერაფერი დაგვიდგება!.. შვებულება ერთ კვირაში მითავდება, მაგრამ ხვალვე ფრონტზე მივდივარ!

— ვაიმე! — მჯილი ჩაიკრა ვილაც დედაბერმა, — ზოგი იმ საცოდავ კაკეს ჰკითხე!

— ეგ ბიჭი კაკეს შვილიშვილია? — იკითხა ვილაცამ.

— კაკესია. სამი წლისა ყოფილა, როცა დაობლებულა და კაკემ გაზარდა რის წვა-დაგვითა.

— ხო, ხო, გამახსენდა... ეგა, მგონი, ფინეთის ომშიც ნამყოფია, არა?

— იქაც ნამყოფია და აქაც ხომ ხედავ, რას ამბობს: შვებულება კიდევა მაქვს, მაგრამ ხვალვე წავალო.

— ვაიმე!..

ნიკო მასწავლებელი იმაზე უფრო ახოვანმა ვაჟკაცმა შეცვალა: მაკაანთ ივანეს ბიჭი ნიკუშაო. მერე სხვა ვაჟკაცი გამოჩნდა: ეგეც ივანეს ბიჭი მიხაკოაო. ის მაღალი, გამხდარი ბიჭი გურმანას შაქრიააო, იმის იქით კი — მისი ნახევარი ძმა ვანიაო...

ამ მოგონებამ რიგრიგობით გამახსენა ხუთი ძმა გალუსტოვი, ძმები გულალაშვილები: ზაქარია და გიორგი, ვანო და გიგუცა, ძმები პაპუაშვილები: იაკობი და გიგუცა; მარგებაძეები: ალექსი და ზაქარია. გამახსენდა ომის დაწყებამდე კადრში წასული და მერე პირდაპირ ომში გაწვეული ვაჟკაცები: დილმელაშვილები, პავლიაშვილები, ოთიაშვილები, თამაზაშვილები, მჭედლიშვილები, პაპუაშვილები, ოქრომჭედლიშვილები, გალუსტოვები, მღებრიშვილები, ჭიკაძეები, კუპატაძეები, მირველაშვილები, მარგებაძეები, მეურმიშვილები, ფილაურები, ქიზიყურაშვილები, ნანუაშვილები, კუზანაშვილები, ალუღიშვილები, კოზმანაშვილები, მოველიძეები, გულნაზაროვები, კვეზერელები, ჩაფიძეები, ღვინაშვილები...

ექვსასზე მეტი მეომარი გაიწვიეს კაკაბეთიდან და სამასიც ველარ დაბრუნდა უკან. იმ სამასზე მეტი შინმოუსვლელის მაგიერ კი ნიკო პავლიაშვილის ნეშტს დასტიროდა ახლა მთელი კაკაბეთი. და არა მარტო კაკაბეთი, მეზობელი სოფლებიდან და რაიონებიდანაც მოსულიყვნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ დაბრუნება მეომრისა, რომელსაც ოცდათორმეტი წლის შემდეგ უნდა ენახა მშობლიური მიწის სიგრილე. აქ იყვნენ დღევანდელი ჯარისკაცები და შორეული ჩერკასკიდან ჩამოსულებიც. ყველა ესენი ამ ნეშტის სახით თავიანთ შვილებს, ქმრებს, ძმებსა და მამებს დასტიროდნენ.

გაისმა სალუტი და მეომრის ნეშტი მშობლიურ მიწაში ჩაესვენა. დღეს იქ, კაკაბეთის ბოლოს, სადაც ნიკო მასწავლებლის დაღლილი ძვლები განისვენებს, მარმარილოს დაფაა აღმართული. მის გარშემო კი შინმოუსვლელთა პარკი შენდება მათი სახელის უკვდავსაყოფად.

ასეთ პარკებს, შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად აღმართულ ობელისკებს ახლა ყველა სოფელში ნახავთ.

დიდება მათ ნეშტს, მათ სახელს, სამარადისო დიდება გმირებს!

**გიორგი პაპუაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული მანგანუმი ჩვენი სიამაყე







● ლენინის სახელობის მაღაროს გვირაბგამყვანი, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ ტყემალაძე სტუმრად პიონერებთან.

● ზესტაფონის ფერომანგანუმის ქარხნის მელუმელეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ ნანიტაშვილი.

● ფერო-მანგანუმის ჩამოსხმა.

● მოდის ქართული მანგანუმი.

● ტრესტ „ჭიათურმანგანუმის" ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის ერთი უბანი.

ა. რუხაძის და ა. მაჭავარიანის ფოტო





ხალხური გადმოცემით, უცხო მგზავრმა ზევიდან გადმოხედა ყვირილას ხეობას, გააკვირვა პიტალო რუხმა კლდეებმა, დაკლაკნილმა მდინარემ და უნებლიედ წამოიძახა „ჭიაა თუ რაა?“. ასე წარმოიშვა მსოფლიოში განთქმული ქართული მანგანუმის ქალაქის სახელი — ჭიათურა.

ჭიათურელი მშრომელები მალე აღნიშნავენ მანგანუმის მადნის დამუშავების საუკუნოვან იუბილეს. ამ საქმის პიონერი იყო ჩვენი სასიქადულო მგოსანი აკაკი წერეთელი — პირველი მადანი უცხოეთში დასამუშავებლად მისი სახელით გაიგზავნა.

ქართული მანგანუმის ქება იმთავითვე გავიდა მსოფლიოში. ჭიათურას შეესიენ უცხოელი კაპიტალისტები, გაჩნდნენ ადგილობრივი მრეწველებიც. მანგანუმის საბადოების ხელში ჩაგდების სურვილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მენშევიკების ბატონობის წლებში. 1918 წლის ივნისში კაიზერის გერმანია ჟორდანიას მთავრობას შეჰპირდა 50-80 მილიონი მანეთის სესხს იმ პირობით, თუ მას ჭიათურის მანგანუმის საბადოებსა და ფოთის ნავსადგურს გადასცემდა. უფრო „იღბლიანი“ აღმოჩნდნენ ინგლისელი იმპერიალისტები — მენშევიკებმა მათ ჭიათურის მანგანუმის საბადოების გასაღები ჩააბარეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩადგა ქართული მანგანუმი ხალხის კეთილდღეობის სამსახურში. აშენდა ახალი სამთო საწარმოები; მათ შორის ახალი ითხვისის, დარკვეთის მაღაროები, ცენტრალური დამყვანი ფაბრიკა და სხვა, სადაც ხელით შრომა თითქმის მთლიანად მანქანებმა შეცვალეს.

კრივოიროგის სამთო მანქანების ინსტიტუტთან თანამშრომლობით ჭიათურელმა სპეციალისტებმა შექმნეს ე. წ. ბუნკერმატარებელი, რომელმაც სამჯერ გაზარდა ელექტრომტვირთავი მანქანების მწარმოებლობა. მანგანუმის გამამდიდრებელ ფაბრიკებში ტექნოლოგიური პროცესები მთლიანად ავტომატიზებულია. ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში ურთულეს შრომითს პროცესებს ტელეხედვის საშუალებით არეგულირებენ. მწყობრში ჩადგა ახალი საფლოტაციო ფაბრიკა, რომელიც დაიჭერს მანგანუმის ასეულ ათასობით ტონა უმნიშვნელოვანეს ნაწილაკებს და მრეწველობას დაუბრუნებს ძვირფას ნივთიერებას. რომელიც აქამდე წყალს მიჰქონდა.

ჭიათურის მანგანუმის ტრესტი, რომლის დროშაზე ლენინის ორდენი კიაფობს, ახლა ყოველდღიურად იღებს იმაზე მეტ მადანს, რამდენსაც რევოლუციამდე ერთი წლის მანძილზე იღებდნენ. ქართული მანგანუმისაგან მიღებული ფეროშენადნობი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნება (ინგლისში, საფრანგეთში, უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში...).

ახალ სოციალისტურ ქალაქში ცხრა, ათ და თოთხმეტ სართულიანმა სახლებმა დაფარეს ხავსმოკიდებული კლდეები, მწვანე ნარგავებმა გაამშვენიერეს იგი. რკინა-ბეტონის კალაპოტში მოემწყვდა მთის შმაგი მდინარე ყვირილა; ამაღლდა წყლის დონე, ახლა მასზე კატერები დასრიალებენ.

— ამჟამად მანგანუმის ქალაქის საბინაო ფონდი ნახევარი მილიონი კვადრატული მეტრია, ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა კი 35 ათასს შეადგენს, თქვენ თითონ განსაჯეთ, ბევრია ეს თუ ცოტა?! — გვეუბნება ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ოთარ გოგატიშვილი.

ჭიათურა, ეს მეტისმეტად თავისებური ქალაქი, ბევრ სტუმარს იზიდავს. მისი სატრანსპორტო არტერიები ძირითადად თავმოყრილია... ჰაერში. ჭიათურაში ასამდე სამგზავრო და სატვირთო-საბაგირო გზაა, რომელთაც გადააქვთ დიდძალი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაჰყავს ათასობით მგზავრი. ქალაქში დაჰქრიან ტროლეიბუსები, ავტობუსები...

ჭიათურა დაქსელილია კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის კერებით. ჭიათურის სახელმწიფო დრამატული თეატრი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატები მოგვითხრობენ ჭიათურის მუშათა კლასის ბრძოლაზე ბედნიერი ცხოვრებისათვის, რომელიც მათ მოიპოვეს.

ნათელია ქართული მანგანუმის ქალაქის აწმყო, კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველია მისი მომავალი.





# ხალხის კეთილდღეობისათვის

**გვესაუბრება საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მამია მეგრელიშვილი**

ნეგატიურმა მოვლენებმა, რომლებიც წარსულში დამკვიდრებული იყო ჩვენს რესპუბლიკაში და რაც გამოწვეული იყო ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომებით, ყველაზე მწვავედ ვაჭრობის სისტემაში იჩინა თავი. რა კეთდება ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რა ახალი პრობლემები დგას ვაჭრობის მუშაკთა წინაშე?

— ვაჭრობაზე, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგზე, ბევრად არის დამოკიდებული მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ვაჭრობის დარგში იყო სერიოზული შეცდომები და დარღვევები. ამ სფეროში მომუშავე ბევრი მუშაკი დაადგა მომხვეჭელობის გზას, დაავადდა პირადი გამორჩენის მავნე სენით, ხელი მიჰყო სიმდიდრის დაგროვებას, რაც შეუთავსებელია კომუნისტურ მორალთან.

ყოველივე ამის გამო ადგილი ჰქონდა ვაჭრობის წესების სისტემატურად უხეშ დარღვევებს, მომხმარებელთა წონა-ზომაში და ფასებში მოტყუებას, სახელმწიფო ქონების დატაცებას და სხვა მახინჯ მოვლენებს, რის შედეგადაც დაეცა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დონე, წლების მანძილზე არ სრულდებოდა საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმები.

ამ და სხვა სერიოზულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრისათვის რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე დასახა ორგანიზაციული და სამეურნეო-კომერციული საქმიანობის ძირეული გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. პირველ რიგში არსებითი ცვლილებები შევიტანეთ დაგეგმვაში, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ საქონელბრუნვის გეგმების რეალობასა და პრაქტიკულ განხორციელებას, ავამაღლეთ ამ საქმეში ვაჭრობის მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობა, გავზარდეთ მათი აქტივობა.

ამასთანავე მნიშვნელოვანი სიახლენი შევიტანეთ სავაჭრო ქსელის დისლოკაციაში, სავაჭრო ორგანიზაციების სტრუქტურაში. თბილისში შეიქმნა სასურსათო-სავაჭრო ორგანიზაციისა და საზოგადოებრივი კვების რაიონული რგოლი. ეს სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდება.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შარშან უკვე მკვეთრად გაიზარდა საქონელბრუნვის მოცულობა. მოსახლეობამ მიიღო 200 მილიონამდე მანეთით მეტი საქონელი, ვიდრე წინა წელს. საქონელბრუნვის ზრდის ტემპმა რესპუბლიკაში 6,8 პროცენტი შეადგინა, და პირველად მნიშვნელოვნად გადააჭარბა საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს.

მიუხედავად ამისა, საქონელბრუნვის გეგმის შესრულება მაინც ვერ უზრუნველვყავით. ამ ფაქტიდან ჩვენ სერიოზული დასკვნები გავაკეთეთ და ენერგიული შრომა გავაჩაღეთ უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებისათვის. მართლაც, სასიხარულოა აღინიშნოს, რომ წელს ვაჭრობამ თავი დააღწია მრავალი წლის მანძილზე დამკვიდრებულ, თითქმის „ტრადიციულად" ქცეულ ჩამორჩენას და აბლა გეგმები ყოველთვიურად გადაჭარბებით სრულდება, გადადგმულია პირველი ნაბიჯები სავაჭრო მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, წყალტუბოს და სხვა ქალაქებისა და რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებმა.

ვაჭრობაში მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესების შედეგია ის ფაქტი, რომ გაიზარდა სურსათის ხვედრითი წილი საერთო საქონელბრუნვაში. ახლა ჩვენს მაღაზიებში საკმარისად არის ხორცი, რძე, რძის ნაწარმი, ბოსტნეული, ხილი, კარტოფილი... და თუ რომელიმე მაღაზიაში ამ პროდუქტების სიმცირეა, ეს მხოლოდ მათი მუშაკების უთავბოლობით უნდა აიხსნას.

მაღაზიებში სურსათ-სანოვაგის სიუხვე სასურველ გავლენას ახდენს ბაზრებში შემოტანილი პროდუქტების ფასზე. ახლა თითოეული მომხმარებელი ნათლად ხედავს, რომ წინა წლებთან შედარებით ბაზრის ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა.

უკანასკნელ წლებში რაოდენობრივად გაიზარდა სამრეწველო საქონლის: შეკერილი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავეჯის მოსახლეობაზე მიყიდვა. მაგრამ ამ მხრივ კვლავ დიდი პრობლემებია გადასაჭრელი, მთავარი საზრუნავია ხარისხის გაუმჯობესება, რადგან იგი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მაღალი გემოვნების მომხმარებელს და ამიტომ ისინი ხშირად ეძებენ იმპორტულ საქონელს. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ავეჯით ვაჭრობა. ამას აფერხებს ისიც, რომ არ არის შექმნილი საჩვენებელი მაღაზიები, სადაც გამოფენენ საუკეთესო ნიმუშებს და მოეწყობა მათი გაყიდვა. ცხადია, ამ პრობლემის გადაჭრა მარტო ვაჭრობის მუშაკებზე როდია დამოკიდებული, მასში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მრეწველობის ყველა დარგის მუშაკმა.

— რა ახალი, პროგრესული მეთოდები ინერგება ვაჭრობაში?

— სავაჭრო საწარმოთა ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლება, კერძოდ, მათი გამტარუნარიანობისა და საქონელბრუნვის გადიდება, რაც მთავარია, მოსახლეობის დროის დაზოგვა საქონლის შეძენაზე ბევრადაა დამოკიდებული ვაჭრობაში პროგრესული მეთოდებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვაზე.

მთავარი აქ თვითმომსახურების მეთოდია. მაღაზიაში, სადაც დანერგილია ეს მეთოდი, სავაჭრო დარბაზის ფართობის წილი ჩვეულებრივ მაღაზიებთან შედარებით, 30-50 პროცენტით მაღალია, მომხმარებელი საქონლის შეძენაზე თითქმის ორჯერ ნაკლებ დროს ხარჯავს.

მეცხრე ხუთწლედის განვლილ პერიოდში საერთო საქონელბრუნვაში თვითმომსახურებით გაყიდული საქონლის ხვედრითი წონა 34 პროცენტამდე გაიზარდა. ამჟამად სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით რესპუბლიკაში თვითმომსახურებაზე გადაყვანილია 800-ზე მეტი მაღაზია. თუმცა ეს მაჩვენებელი დიდი არ არის და მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთო-საკავშირო დონეს. ახლა ხორციელდება ღონისძიებანი ამ სხვაობის ლიკვიდაციისათვის. წელსვე ეს მაჩვენებელი აყვანილი იქნება 40 პროცენტამდე.

ვაჭრობის ტექნოლოგიის პროგრესში დიდ როლს ასრულებს აგრეთვე მომსახურების ისეთი ფორმები, როგორიცაა საქონლის გაყიდვა ნისიად, ვაჭრობა წინასწარი დაკვეთით, შინ მიტანით, დატარებით, ავტომატების საშუალებით და ა. შ., რომლებმაც ბოლო დროს სავაჭრო საწარმოებში ფართო გავრცელება ჰპოვეს.

მეტი ყურადღებით ვეპყრობით აგრეთვე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლას. ამ მიზნით ხდება ცალკეული ჯგუფის საქონლის კონიუნქტურის გაანალიზება, მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა, იმართება მომხმარებელთა კონფერენციები საქონლის მომწოდებელთა მონაწილეობით, საქონლის გამოფენა-გაყიდვა და ა. შ.

— სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის ვაჭრობაში კადრები გადამწყვეტი ძალაა. როგორ სწორდება წარსულში ამ საქმეში დაშვებული შეცდომები, როგორ ხდება კადრების შერჩევა და განაწილება?

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით მოითხოვა ვაჭრობის მუშაკთა კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინური პრინციპების აღდგენა და დაცვა.

აქედან გამომდინარე დიდი მუშაობაა გაწეული ვაჭრობის ყველა რგოლის მაღალკვალიფიციური, ყოველმხრივ შემოწმებული კადრებით განმტკიცებისათვის, იმ მუშაკთა შეცვლისათვის, რომლებმაც სახელი გაიტეხეს, ან თავს ვერართმევენ დაკისრებულ მოვალეობას. თუმცა ამ მხრივ გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. სავაჭრო საწარმოებში მაინც არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც ისევ ძველებურად განაგრძობენ საქმიანობას. ამიტომ კვლავ ხშირია ფასების დამახინჯებისა და ვაჭრობის სხვა წესების დარღვევის შემთხვევები. განვაგრძობთ ულმობელ ბრძოლას, რათა ვაჭრობის სისტემაში საბოლოოდ აღვადგინოთ საბჭოთა კანონიერება და მართლწესრიგი.

უკვე ისახება მნიშვნელოვანი ძვრები, სახელდობრ, შესამჩნევად ამაღლდა ვაჭრობის მუშაკთა რეპუტაცია. ვაჭრობაში სამუშაოდ ხალისით მოდიან ქალები, ახალგაზრდობა, მთელი სერიოზულობითა და მონდომებით ებმებიან შრომის ფერხულში და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ. ახალგახსნილ უნივერმაღ „თბილისში" 700 თანამშრომელი მუშაობს, რომელთა საშუალო ასაკი 22 წელს არ აღემატება. მათ შორის 620 ქალია. მათ კოლექტივში სიხარული და ხალისი მოიტანეს, გააჩაღეს მჩქეფარე კულტურულ-მასობრივი მუშაობა, მოაწყეს შეხვედრა სამამულო ომის ვეტერანებთან, პოეზიის დღე, აგრეთვე პრალის მოდების სახლის საუკეთესო მოდელების ჩვენება და ა. შ. ამ ღონისძიებათა შემდეგ ისინი მეტი ხალისით შრომობენ დახლებში, გულთბილად ხვდებიან მომხმარებელს.

უკანასკნელ ხანებში გამოვლინდა ვაჭრობის ბევრი კარგი ორგანიზატორი, რომლებიც პატიოსანი, თავდადებული შრომის მისაბაძ მაგალითს გვიჩვენებენ. სახელდობრ, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორი მერი ყიფიანი, ქუთაისის სასადილოების ტრესტის მეორე გაერთიანების წარმოების უფროსი თინა ბურჭანაძე, რუსთავის საჩუქრების მაღაზიის გამგე ნუნუ აფაქიძე და სხვები. მოკლე ხანში მათ თავი გამოიჩინეს როგორც ინიციატივიანმა, პერსპექტიულმა მუშაკებმა, რომლებსაც ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა.

— რა ღონისძიებები ხორციელდება ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის?

— ვაჭრობის შემდგომი განვითარების საფუძველთა საფუძველია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამას წინათ მწყობრში ჩადგა ბევრი შესანიშნავი სავაჭრო ობიექტი. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით არის აღჭურვილი უნივერმაღი „თბილისი", რომელიც ყველაზე მსხვილი სავაჭრო დაწესებულებაა ამიერკავკასიაში. აშენდა კარტოფილისა და ბოსტნეულის უდიდესი საცავი ლილოში, ათიათასი ტონის ტევადობის მაცივარი გორში, უნივერმაღი მახარაძეში და ა. შ.

რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ ფინეთიდან შემოიტანა „სუპერმარკეტის" ტიპის მსხვილი მაღაზიების ასაწყობი კონსტრუქციები და მოწყობილობა. წლის მეორე ნახევარში შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე უკვე ვიხილავთ პირველ ასეთ მაღაზიებს. გათვალისწინებულია აგრეთვე კურორტებისათვის სხვადასხვა ტექნოლოგიური დანადგარებისა და მოძრავი სამზარეულო-სასადილოების შეძენა.

სავაჭრო ობიექტების ქსელი კვლავაც გაფართოვდება. თბილისში, ელმავალსაშენებელი ქარხნის დასახლებაში შენდება სავაჭრო ცენტრი, რომლის მთავარი შენობა იქნება უნივერსამი, დედაქალაქის ნორჩი მომხმარებლისათვის აშენდება ბავშვთა სამყაროს ახალი საუკეთესო შენობა. გათვალისწინებულია აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ობიექტების მნიშვნელოვანი გაფართოება და ტექნიკური აღჭურვა.

* * *

ვაჭრობას სამართლიანად უწოდებენ სახალხო მეურნეობის ბარომეტრს. მას ყოველდღიური კავშირი აქვს ადამიანებთან, ზუსტად ასახავს მათ სურვილებს, მოთხოვნილებებს, გაწყობილებებს. ბუნებრივია, ვაჭრობის განვითარება და სრულყოფა ყოველთვის იყო და რჩება ჩვენი პარტიის ყოველდღიური ზრუნვის საგნად.

სწორედ ამ მზრუნველობის შედეგია, რომ მშრომელთა სავაჭრო მომსახურებაში უსწრაფესად სწორდება დაშვებული შეცდომები, იქმნება ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ჯანსაღი ატმოსფერო. ჩვენი მიზანია, ყველაფერი გავაკეთოთ კომუნიზმის მშენებელი მშრომელი ადამიანის სანიმუშო მომსახურებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის.

საუბარი ჩაიწერა
დავით ბიწაძე



## ამ დღეს ქვემო ქართლში

მარნეულში აშენდა სამსართულიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი; იგი თორმეტი განყოფილებისაგან შედგება.

აქ მალე დამთავრდება 250 სატვირთო ავტომანქანისთვის განკუთვნილი კომპლექსური გარაჟის მშენებლობა.



ამ წლის ბოლოს მწყობრში ჩადგება გაზის გამცემი სადგური; იგი მოემსახურება დმანისის, ბოლნისის, თეთრი წყაროსა და მარნეულის რაიონებს.

თეთრი წყაროს ექსპერიმენტულ ქარხანაში საბჭოთა კავშირში პირველად დაინერგა ახალი პროდუქციის გამოშვება. ეს არის მარილის შემცველი კონცენტრატი (ნახევარფაბრიკატი).

მარილში ურევენ რეპანის ზეთს. ახალმა პროდუქციამ შეცვალა ძვირად ღირებული მისაკი და სახელმწიფოს დიდი მოგება მისცა.



ძეგვში შენდება კომპლექსური ნავთობაზა, რომლის ფართობი ოთხ ჰექტარს შეადგენს. აქ დაიდგმება 12 ათასი კუბმეტრის რეზერვუარები.

ახალი ნავთობაზა მომსახურებას გაუწევს ყაზბეგის, დუშეთისა და მცხეთის რაიონებს.

შულავერში (მარნეულის რაიონი) აშენდა ქეჩის ახალი ფაბრიკა, რომელიც აღჭურვილია სამამულო მოწყობილობა-დანადგარებით. თუ წინათ ფაბრიკა წელიწადში 150 ტონა ქეჩას იძლეოდა, ახლა იგი 200 ტონა პროდუქციას გამოუშვებს და სახელმწიფოს 250 000 მანეთის მოგებას მისცემს.

სოფელ ტბისში მდ. ალგეთზე (თეთრი წყაროს რაიონი) შენდება ქვანაყარი კაშხალი, რომლის სიმაღლე 78 მეტრი იქნება, ხოლო სიგრძე — 400 მეტრი. წყალსაცავის მოცულობა 85 მილიონ კუბმეტრს შეადგენს. იგი გამოყენებული იქნება 15 ათასი ჰექტარი ფართობის მოსარწყავად.

თეთრი წყაროს ექსპერიმენტულ ქარხანაში დაინერგა ახალი აგრეგატი ИСА-200, რომელიც კვების მრეწველობის კვლევითმა ინსტიტუტმა შეიმუშავა.

აგრეგატი ქარხლის წვენისაგან დაამზადებს ფქვილს, რაც კვების მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში აგრეგატი ИСА-200 პირველად თეთრი წყაროს ექსპერიმენტულ ქარხანაში დაინერგა.

სოფელ მუხათგვერდთან (მცხეთის რაიონი) მდ. მტკვარსა და ზაჰესის არხზე მიმდინარეობს ხუთმალიანი ხიდის მშენებლობა, რომლის სიგრძე 285 მეტრი იქნება.

საქართველოში აქ პირველად გამოიყენებენ 210 მეტრი სიგრძის ლითონის უჭრი კოჭი, რომელიც ოთხ მალზე გაიდება.

აღსანიშნავია, რომ მდ. მტკვარზე ჯერჯერობით ეს ყველაზე გრძელი ხიდი იქნება; იგი ექვსი კილომეტრით შეამცირებს თბილისსა და ნატახტარს შორის მანძილს.





● სომხეთის დელეგაცია თბილისის ვაგზალზე.

● კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე.

● კომპოზიტორი არნო ბაბაჯანიანი.

● კომპოზიტორი ტიხონ ხრენიკოვი.

● კონცერტი თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში.

● რევაზ ლაღიძე აზერბაიჯანელ სტუმრებს შორის.

ედ. ეგინოვის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა







# გადარჩენილი წიგნები

თამარ ჟიჟიანი

## ლენინგრადული ჩანაწერებიდან

ომის დაწყებიდან მეოთხე თვე იწურებოდა. შიმშილი და სიკვდილიანობა ჯერ ძალაში არ შესულიყო. ჩვენი თანამშრომლებიდან უბედურება არავის სწვეოდა, არც ფრონტზე წასულების შესახებ გაგვეგო რაიმე ცუდი. გაცოფებული ფაშისტები ლენინგრადს ბომბავდნენ. დაბომბვის დროს ყველგან მორიგეობა იყო დაწესებული.

...დღეს აკადემიის ბიბლიოთეკის სხვენზე მე ვარ მორიგე. აქ ჩვენი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტია.

მზიანი დილა გათენდა. სამსახურში მოვედი, წიგნსაცავში შევიარე, ვხედავ, პროფესორი ვარლამ დონდუა ყუთებში წიგნებს ალაგებს.

ვეკითხები:

— ბატონო ვარლამ, ეს რა წიგნებია?

— საკუთარი. რაც კი რამ იშვიათი წიგნი მქონდა ბიბლიოთეკაში, ყველა ავარჩიე და მოვიტანე. ყუთებს დავჭედავ და ამ საცავის რარიტეტებთან ერთად სარდაფში ჩავიტან. ჩვენ შეიძლება აღარ ვიყოთ, იქნება მომავალმა თაობამ იპოვოს და გამოიყენოს ეს წიგნები! — მითხრა მან.

— თუ ადგილი დაგრჩათ, ნება მომეცით, მეც ჩავდო ჩემი ორიოდე წიგნი. აქა მაქვს კაბინეტში, — ვთხოვე მე და სასწრაფოდ მოვარბენინე „ვეფხისტყაოსანი“ და გ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი.

მან ჩემი წიგნები ყუთში ჩააწყო, საგულდაგულოდ დაჭედა და იქვე, სარდაფში ჩასატანად გამზადებული ინსტიტუტის საცავის რარიტეტებით სავსე ყუთების გვერდით მიდგა.

...ბატონ ვარლამისა და ასპირანტ მედვედევას სხვენზე მორიგეობა მე და ჩვენმა სომეხმა ასპირანტმა ერვანდმა შევცვალეთ. ერვანდი მაშინვე სახურავზე აძვრა. მე არასოდეს არ დამიდგამს ფეხი სახურავზე და ახლა დიდი სურვილი მქონდა, იქიდან გადამეხედა ქალაქისათვის. იქნებ ეს უკანასკნელიც იყოს? კაცმა არ იცის, რა მოგველის!

სახურავზე ავძვერი, ვერც კი მოვასწარი რიგიანად ფეხის დადგმა, რომ აკადემიის სახურავზე დადგმული სირენა აღრიალდა, რაც საჰაერო განგაშის გამოცხადებას გვაუწყებდა. გაისმა ბომბდამშენების გუგუნი. ცაზე შავი წერტილები გამოჩნდა, თანდათან დაეშვნენ ქვევით, შავი ყორნებივით გაიზარდნენ ეს წერტილები. წვეთებივით წყდება ამ შავ ურჩხულებს ბომბები და შემაძრწუნებელი ყმუილით ეშვება ძირს. ესმის საშინელი აფეთქების ხმა, ინგრევა ლენინგრადი...

— აბა, სწრაფად, სხვენზე! — მეუბნება ერვანდი, — ჩვენ იქ უნდა ვიყოთ, სადაც სილა და ბარია!

სხვენზე ჩამოვცოცდით, ავიღეთ ბარები და ვდგავართ ხმაგაკმენდილები უბედურების მოლოდინში. ასე ვიდექით, სანამ ჩვენი შემცვლელები არ ამოვიდნენ.

მე და ერვანდი ქვევით რომ ჩამოვედით, მეხუთე სართულის დერეფანში მორიგეები მხოლოდ ცეცხლმაქრობებთან იდგნენ. დერეფანში დინჯად მიაბიჯებდა ვარლამ დონდუა.

— თქვენ რატომ არ ჩაბრძანდით ბომბსაფარში? — ვეკითხები მე.

— ასეთ დროს თქვენ სახურავზე იყოთ და მე ბომბსაფარში?

— ღმერთო ჩემო, რას მიშველიდით რაიმე რომ მომხდარიყო?

— ეს არავინ იცის, იქნება მეშველა კიდეც!

ჩავედით ბომბსაფარში. ინსტიტუტის ყველა თანამშრომელი აქ არის. აქვე





# ძმური ჰანგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანია თბილისს არ სმენია მუსიკის ასეთი წარმტაცი და მომხიბვლელი ხმები. 22 მაისიდან პირველ ივნისამდე რადიო-ტელევიზიიდან, ესტრადიდან და საკონცერტო-საესტრადო დარბაზებიდან ისმოდა სამი მოძმე რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა მუსიკის ხმები. მუსიკოსები ერთმანეთს უზიარებდნენ შემოქმედებით მიღწევებს, სახავდნენ მომავალი მუშაობის გეგმებს.

ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური ფესტივალი თავისი პროგრამითა და შინაარსით მრავალფეროვანი იყო. აქ წარმოდგენილი იქნა კამერული, ვოკალური და სიმფონიური ნაწარმოებები.

ფესტივალი დაიწყო აზერბაიჯანული მუსიკის დღეებით. მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდა წილად აზერბაიჯანული სიმფონიური და კამერული მუსიკის ცალკეულ ნაწარმოებებს და შემსრულებლებს.

ასეთივე დიდი წარმატებით ჩატარდა სომხური მუსიკის კონცერტი. თბილისელმა მაყურებელმა მოისმინა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის არამ ხაჩატურიანის დიდი შთაგონებით შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები — „საზეიმო დაფდაფები“ და „ოდა სიხარულისა“, ავტორი თვითონ დირიჟორობდა.

ქართველმა მუსიკოსებმა საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართეს სიმფონიური მუსიკის კონცერტი. კონცერტში მონაწილეობდა აგრეთვე ვოკალური ანსამბლი „გორდელა“.

საგაზაფხულო ფესტივალმა გაამართლა იმედები და ხელი შეუწყო ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა შემდგომ დაახლოებას, ჩვენი ძველთაძველი კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას.

---

არიან აკადემიკოსები ალექსეევი და კრაჩკოვსკი.

როგორც იქნა, დამთავრდა საჰაერო განგაში. აკადემიის სასადილოს მივაშურე. თან მაქვს ჩემი განუყრელი პატარა ქვაბი, რომლითაც ჩემი გოგონასათვის — ვალიდასთვის მიმაქვს წვნიანი ან ფაფა, რასაც სასადილოში მომცემენ. შევედი შიგ და ვხედავ, დარბაზში მაგიდასთან ძმები, პროფესორები კარპეზ და ვარლამ დონდუები სხედან. მეც მათთან დავჯექი. მოგვცეს წვნიანი, შიგ ორი ფოთოლი კომბოსტო ცურავს, ცხიმის ნასახი არ ეტყობა. მაგრამ ცხელი ხომ არის და შიმშილს მეტი რა უნდა? ჩემი ულუფა პური იმ დღეს სახლიდან არ წამომიღია. ძმებსაც არა ჰქონდათ პური. შევექცევით ცარიელ წვნიანს.

— ჩვენ კუთვნილ პურს ბავშვებს ვუტოვებთ, — თქვა ბატონმა კარპეზმა, — თუ არ დარწმუნდნენ, რომ ჩვენ თავი როგორღაც დავიკმაყოფილეთ, ნამცეცსაც არ იდებენ პირში. ჩვენ კი ხშირად ვატყუებთ, რომ აკადემიაში სუპთან ერთად პურსაც გვაძლევენ.

არჩილი და გიორგი — კარპეზის შვილები ჯერ თორმეტი-თოთხმეტი წლისანი თუ იქნებიან, ამ შიმშილობას თურმე ითმენენ, სიყვარულსა და პატივისცემას იჩენენ მშობლისა და ბიძისადმი. ეს კარგია, მაგრამ რა ეშველება ამ ორ ადამიანს? სანამდე გაძლებენ უპუროდ? როდის დაადგება საშველი ჩვენს გაჭირვებას?!.

კარპეზმა თითქოს ჩემი აზრები ამოიკითხაო, მითხრა:

— გამარჯვება ხომ საბოლოოდ ჩვენია, ცოტაც მოვითმინოთ და ყველაფერი კალაპოტში ჩადგება!

სახურავზე უცებ ისევ აღრიალდა სირენა — გამოცხადდა საჰაერო განგაში. აკადემიის სასადილო სულ ქვედა სართულზეა მოთავსებული, მაღალთაღებიან და მაგარბოძებიან დარბაზში. აქედან ბომბსაფარში წასვლა არცაა საჭირო. გარეთ ისეთი ამბავია, თითქოს ცა და დედამიწა ერთიან ჯოჯოხეთად იქცაო. მიწა ზანზარებს. განუწყვეტლივ გრიალებს ჩვენი საზენიტო არტილერია.

— უთუოდ ჩვენს რაიონს ბომბავენ! — ვამბობ მე.

— თქვენს რაიონს კი არა ჩვენსას (ვასილევის კუნძულს) ბომბავენ, იქიდან, ისმის აფეთქების ხმა! — ამბობს ბატონი ვარლამი.

მე ვალიდას დარდი მაქვს, ბატონ კარპეზს — კი თავისი ცოლ-შვილის.

ვარლამი გვაწყნარებს:

— დამშვიდდით, გარწმუნებთ, ორივე ცდებით!

დამთავრდა თუ არა საჰაერო განგაში, ძმებს გამოვემშვიდობე და სწრაფი ნაბიჯით შინისაკენ გავწიე. შეშინებული ვაცეცებ თვალებს, ვიხედები ნევის პროსპექტისაკენ, მაგრამ აბა, აქედან რა უნდა დავინახო?! ქალაქის თავზე მდორედ მიზოზინებს შავი, საოცრად დახუჭუჭებული ბოლი და მზეს აბნელებს. სადღაც დიდი ხანძარია, სქელი ბოლი ღრუბელივით ეფინება ზეცას. ხალხი გულშემოყრილია — იმ სისხლისმსმელებმა თურმე სასურსათო საწყობები დაგვიწვეს, ეს შავი ზოლიც იმისი იყო.

ისინი მართლები გამოდგნენ, სურსათის განადგურების შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა ხალხის ულუფა, ამას სიკვდილიანობა მოჰყვა.

* * *

ომის დამთავრებიდან ოცი წელი იყო გასული, ერთ დღეს ბატონმა ვარლამმა თავისთან თბილისში დამიძახა და ჩემი გადახიზნული, ბლოკადის ქარცეცხლში გამოვლილი წიგნები დამიბრუნა.





კარპეზ და ვარლამ დონდუები.

# ლექსები

ხუტა ბერულავა

## სადღეგრძელო

სიმონ სხირტლაძის ხსოვნას

ვახსენოთ კაი კაცი,
ძმებს რომ გვიწოდებდა,
და რომლის ერთი სიტყვაც
ოქროს იწონიდა;

და რომლის შეძახილზეც
სუფრა ცოცხლდებოდა,
და რომლის სტუმრობაზეც
ხალხი ოცნებობდა;

და რომლის შემოხედვაც
ხალისს გვიმატებდა;
და რომლის მეტყველ სიბრძნეს
ღმერთიც ინატრებდა!

ვახსენოთ სიმონიკა —
კაცი გზანათელი,
ლხინშიც, გასაჭირშიც,
მარად სანატრელი;

მოძულე გულგრილობის,
ხავსის, ჭაობისა.
მზრუნველი მოამაგე
ნორჩი თაობისა.

მეხოტბე მეგობრობის,
გარჯის, თავდადების,
მეუფე საქართველოს
ნაღდი თამადების!

კეთილო რაჭველებო,
ძველო მრავალძალო,
არ მინდა, სადღეგრძელო
ვისმე დავაძალო;

არ მინდა, გავაცოცხლო
თქვენი სატკივარი,
არ მინდა, გაგაგონოთ
სიტყვა გამყივარი, —

მწადია კაი ყმისთვის
ღამის გათენება
და მისი მშობლიური
სახის გახსენება:

...რაჭაში დაიბადა,
თბილისს ეთაყვანა
და დიდი დედაენა
მრავალს შეაყვარა.

სახელი საალერსო
ისე ახარებდა,
ვით გვირგვინს დიდებისას,
ისე ატარებდა.

წავიდა. დაგვიტოვა
დარდი და ჭრილობა.
სენი რას დააკლებდა,
სძლია დაღლილობამ!

ლხინით და სიყვარულით
ძალუმ დაიღალა...
სიკვდილს რომ წინ აღუდგეს,
ვის აქვს ამის ძალა?!

მას ძე ხორციელი
თუ ვერ უმკლავდება,
მოძმეთა ხსოვნაშია
ჩვენი უკვდავება.

ო, მისი წმინდა ხსოვნა,
რომ არ დაგვეკარგოს
და ჟანღი დავიწყების
რომ არ გაეკაროს,

ის კაცი ვადღეგრძელოთ,
ძმებს რომ გვიწოდებდა,
რომლის ერთი სიტყვაც
ოქროს იწონიდა.

## კოლხური სახუმარო

ერთი კაცი შემომიჩნდა,
გაგირიგებ ლამაზ ქალსო,
ისეთია დალოცვილი,
მზეს უსწორებს მაღლა თვალსო.

მოინდომოს, ხვალ გაჰყვება
თუნდა ბრძენს და თუნდა გმირსო,
მზითევი აქვს, რა მზითევი!
ცხენს მოგცემს და უნაგირსო,

ოქრო, ვერცხლი და ზურმუხტი
მის კალთაში ელავს, წვიმსო,
საბანი და ქვეშაგები
იმდენი აქვს, ველარ თვლისო,

ვით კოლხეთის დედოფალი,
მარგალიტის ტახტზე ზისო,
დღისით ხალხში გამოგაჩენს,
დაგიამებს ღამე ძილსო...

აი, ასე შემომიჩნდა
მაჭანკალი — მარებელი,
სოფელ-სოფელ მარებელი,
კაცთა გამამწარებელი.

შემომიჩნდა ის წყეული,
დამიბნელა მთლად გონება,
გადამრია, დამახარბა
სხვისი განძი და ქონება.

მაყრიონიც მომაყენა
და ის ქალიც ადრე დილით.
შევხედე და რას შევხედავ!
დიდხანს ვიყავ დაბნეული.

ყოფილა და რა ყოფილა!
წავიქეცი ბანზე ლამის,
რომ ვიხილე ის უკბილო,
კუზიანი და ელამი.

ვით ჯაგლაგი ცხენი ჩემი,
მოჩაქჩაქებს დედაბერი!
საპატარძლო მომიყვანეს,
ჩემი ჭკუის შესაფერი...

ეზო-კარი დაიბუგოს
ძირიანა, ფესვიანა,
სადაც იგი გაიზარდა
თავის ოქრო-ვერცხლიანა!

...რა მწარეა ყმაწვილკაცი
შეჰყურებდეს ბებრუხუნას,
ანდა ცოლი ახალგაზრდა —
ბერიკაცის ველურ ხტუნვას;

რა მწარეა, შინ შეუშვა
ცრუპენტელა მაჭანკალი,
ანდა კიდევ, მე რომ შემრჩა
იმისთანა პატარძალი!

# კაშხალი ცისკენ მიიწევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, უკვე მეთოთხმეტე ზაფხული გავიდა მას შემდეგ, რაც ჰიდრომშენებლები ენგურის ნაპირებზე მოვიდნენ და პირველი ბარი დაჰკრეს...

დღეისათვის ენგურჰესის მშენებლობა გადამწყვეტ ფაზაშია შესული. იგი თავისი თაღოვანი კაშხალით, 15,1 კილომეტრიანი სადერევაციო გვირაბით, მიწისქვეშა ელექტროსადგურებით, ვარდნილჰესებით თუ სხვა სახის მშენებლობით უნიკალურია.

1961 წლის მარტიდან 1975 წლის 1 მარტამდე ენგურის კასკადების ძირითად სამშენებლო პოლიგონებზე შესრულებულია 340 მილიონ 647 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

კაშხალი ცისკენ მიიწევს... მისი სიმაღლე აშენების შემდეგ ოთხჯერ გადაამეტებს თბილისის ცნობილ სასტუმრო „ივერიას".

ჩქარობენ მიწისქვეშა ელექტროსადგურის მშენებლობაზე. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები ენგურის გადასაგდებზე, სადაც ვარდნილჰესების „გამოსაკვებად" (დროებით) „გალის ზღვაში" ენგურის გადაგდების სამუშაოები წარმოებს.

ენგურჰესის მშენებლობაზე მრავალი ათასი კაცი მუშაობს; ყველა ისინი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არიან; მათ საკმაო წრთობა აქვთ მიღებული ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ელექტროსადგურების მშენებლობებზე.

ენგურჰესელებს მეცხრე ხუთწლედის ბოლო წელი დიდ ამოცანებს უსახავს — წელს მათ, შარშანდელთან შედარებით, 9 მილიონ მანეთზე მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შეასრულონ, ხოლო გეგმის ზევით კი — 200 ათასი მანეთისა; კაშხალის ტანში ნაცვლად 400 ათასისა, 410 ათას კუბურ მეტრ ბეტონს ჩაასხამენ...

ენგურჰესი მთელი სიმძლავრით 1977 წელს უნდა ამოქმედდეს.

ლ. ბარქაია





ხედი მომავალი კაშხალის სიმაღლიდან.


ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდეზე მცოცავთა ბრიგადა.

კაშხალის მშენებლობის ერთი უბანი.

კაბელ-ამწეს ოპერატორი მარინა გეთია.







მოდის უმაღლესი ხარისხის ბეტონი კაშხალისათვის

მძღოლი ალექსანდრე ხეცურიანი.



# ენგურჰესი

თარხან არჩვაძის ფოტო





გამყვანთა კომპლექსური ბრიგადა.



დაბა საბერიო

მოწინავე ბრიგადირი ნედუს ა.კო



დროებითი კაშხალი მდინარე ენგურზე ვარდნილჰესებისათვის.





მძლავრი „მაზები“

# ენგურჰესი



მომავალი მიწისქვეშა საგენერატორო დარბაზი.



მებეტონე-ბრიგადირი
ანასტას მელიქოვი.

ზეინკალი ფეოდორ მიცკევიჩი.





ახალგაზრდა ექიმი
მარინე ჯიჭონაია.

IV უბნის უფროსი ვაჟა მიქავა, მცოცავი-მემონტაჟე დენის აკოფბია და კაშხალმშენის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნუგზარ კვეკვესქირი.






„კიდევაც დაიზრდებიან"... მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კიდევაც დაიზრდებიან“...

ქართულ საბჭოთა სკულპტურულ ხელოვნებას კიდევ ერთი შესანიშნავი ძეგლი შეემატა.

ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების ოცდაათი წლისათვის საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეებში მარნეულში, ალგეთის ხეობის შემაღლებულ ადგილას გაიხსნა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი ანსამბლი-მონუმენტი — „კიდევაც დაიზრდებიან...“ რომელიც მოქანდაკემ დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველ მეომართა მარადიულ ხსოვნას მიუძღვნა.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგში მონაწილეობდნენ მარნეულისა და მეზობელი რაიონების მშრომელები, თბილისიდან და რუსთავიდან ჩასული სტუმრები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგები.

ძეგლი თავისი მონუმენტურობითა და სიდიდით დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მერაბ ბერძენიშვილმა, ჭეშმარიტი ხელოვნების ერთგულმა მხატვარმა, ახლაც არ უღალატა თავის შემოქმედებით მანერას, გმირების შინაგანი ხასიათის ფილოსოფიური წვდომის თავის წესს და დავით გურამიშვილის, გიორგი სააკაძისა და ზაქარია ფალიაშვილის სკულპტურული ფიგურების კვალდაკვალ შექმნა ღრმად პატრიოტული ნაწარმოები. ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქართველი ქალისა და მისი ორი პატარა ვაჟკაცის ფიგურები, ხელში ვეებერთელა მახვილი რომ უჭირავთ, ჩვენი ხალხის გმირული სულის, მისი შემართებისა და მომავლის რწმენის სიმბოლოა. მხატვარმა ბრინჯაოში აამეტყველა ცნობილი ხალხური ლექსის დიდებული სტრიქონები — „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“... და მათ ახალი ჟღერადობა მიანიჭა.

ეს არის იმ უანგარო მამულიშვილთა გახსენება, რომლებმაც მომხდურ მტრებთან ბრძოლებში თავი გასწირეს სამშობლოსათვის, ეს არის მხატვრული ენით ნათქვამი მადლობა იმ ქალებისადმი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულნი ახალ მებრძოლებს რომ უზრდიდნენ დედა-სამშობლოს.

მტერი ანადგურებდა ქვეყანას, ხალხი სისხლისაგან იცლებოდა, თითქოს გადარჩენის იმედი აღარ იყო, მაგრამ კვლავ ცოცხლობდა შეუდრეკელობისა და უხეში ძალისადმი დაუმორჩილებლობის ამაყი სული, ოპტიმიზმი, მომავლის რწმენა, და სამშობლოც ფენიქსისებრ აღსდგებოდა ხოლმე. ყოველივე ამას უდიდესი მხატვრული დამაჯერებლობით გადმოგვცემს მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება.

„კიდევაც დაიზრდებიან...“ გმირობის, ხალხის უკვდავების, სიცოცხლის მარადიულობის ჰიმნია.

ვლადიმერ სვანიძე

# ორი ეტიუდი

## შიში

იმ ღამეს განუწყვეტლივ თოვდა. საშინლად ციოდა. დედაჩემი, ცეცხლი რომ არ გამქრალიყო ორჯერ ადგა და, მგონი, უკანასკნელი ნაკოდი შეუკეთა ბუხარს.

ექვსი წლისა თუ ვიქნებოდი, მაგრამ კარგად ვიცოდი, რას ნიშნავდა უკანასკნელი ღერი შეშის დაწვა! არ ვიცი, დედა რას ფიქრობდა, მე კი ჩემი საფიქრალი მქონდა. ამ ფიქრებში ჩამეძინა. სიზმარში სულ ჩემს თავკავს დავასრიალებდი და ეზოში შეშის ხორა დავდგი! დედა ხარობდა. მე ვამაყობდი და, ალბათ, ძლიერმა მღელვარებამ გამომაღვიძა. თვალი რომ გავახილე და დედას შევხედე, მომეჩვენა, თითქოს სიზმარი გრძელდებოდა: მისი სახე სიზმარეული სიხარულით იყო გაბრწყინებული.

— დედია!..

— ადექი, გენაცვალოს დედა! — თქმა აღარ დამაცადა, მომეალერსა და გარეთ გავიდა.

შევატყვე, დედამ რაღაც ბოლომდე არა თქვა. წამოვდექი. ჩავიცვი და გავყევი, მაგრამ კარებში გავშეშდი. ვუყურებდი და თვალებს არ ვუჯერებდი: ის ხორა, სიზმარში რომ დავდგი, მართლა იდგა ჩვენს ეზოში! აი, საკვირველება! საიდან გაჩნდა ამდენი შეშა?! დედა სდუმდა, მაგრამ ვატყობდი, გუმანით ხვდებოდა, ვის შეეძლო გაეტეხა ეს ცივი ღამე. დედა კი არა, მეც მივხვდი, რომ ამ გზით მხოლოდ მეზობელს, არსენ სვანს, შეეძლო გალმა ტყიდან შეშის მოზიდვა. მაგრამ რატომ ღამით და ასე უჩუმრად? ეს მაშინ ჩემთვის გაუგებარი იყო!

იმ ღამის ამბავი მეხსიერებამ ზღაპარივით შემოინახა.

არსენას ქველობის ამბავი კი წარმოსახვამ გააცოცხლა.

აი, თურმე რა მოხდა:

ჩვენი უშეშობა რომ შენიშნა, მან უყოყმანოდ მიიღო გადაწყვეტილება.. ერთი რამ აფიქრებდა მხოლოდ — სოფლის მწარე ენა!

შიშობდა, ჩრდილი არ მიეყენებინა მეზობლისათვის, არავის ეთქვა, უშეშოდ დატოვა ცოლ-შვილიო! ერთი სიტყვით, არ ინება, ეს ამბავი სალაპარაკო გამხდარიყო. თავისი გულისწადილი მხოლოდ ცივ ღამეს გაანდო და საიდუმლო სამარეში თან ჩაიყოლა.

ამიტომაც იქცა ის ლამაზ ზღაპრად.

## უნდო

არავინ იცოდა, რატომ ჰქონდა ასეთი გული. თითქოს ბოროტი არ იყო, ღრძო და შურიანიც არ ეთქმოდა, მაგრამ უნდო იყო, უნდო! არავის არაფერს არ ენდობოდა. ეს თავადაც კარგად იცოდა და ნაღვლობდა კიდევაც, მაგრამ იმას კი არა, რომ უნდო იყო, არამედ იმას, რომ წუთისოფლის უკუღმართობისა და ადამის მოდგმის ბილწობის გამო, კაცი ვერავის ენდობა! — აი, რას წუხდა მელანძილე საჩინო.

საჩინოს ეჭვიანი და უნდო გული ყველას აოცებდა. აბა, როგორ შეიძლებოდა, კაცი არ განეცვიფრებინა მის ახირებულ ხასიათს: სალამი რაა, სალამსაც კი საეჭვოს ხდიდა. თუ ვინმე პირველი კეთილად და თავაზიანად მიესალმებოდა, ეჭვი იპყრობდა: — ჩემგან რაღაცას გამოელის, თორემ ასე რატომ მელაციცებაო. თუ ახლობელი ან შორეული სიტყვას შეუბრუნებდა ან სათხოვარზე უარს ეტყოდა, ის ეჭვის ჭია სულს უღრღნიდა — რაღაცა უნდა გამომკინკლოს, თორემ ასე არ მომექცეოდაო!

ერთხელ მეზობელს სიტყვა ჩამოუგდო, მოსავალში ფეკეულს ხომ არ გამიცვლიო, მეზობელი დაეთანხმა. ეს უყოყმანო თანხმობა საეჭვოდ მოეჩვენა და თავის წინადადებაზე უარი თქვა, — აღარც თავისთავს ენდო, აღარც მეზობელს!

ერთხელაც ონელმა მეწვრილმანემ ჩამოიარა. იგი იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე და ხალხი ფუტკარივით დაესია. საჩინო ახლოს არ გაეკარა: ჯერ ვნახო, სხვები რას იზამენ, მეწვრილმანის ნდობა როგორ იქნებაო?! ელოდა, ელოდა და ცარიელ-ტარიელი დარჩა.

საჩინო ზოგჯერ საფეხნოზეც გამოჩნდებოდა, საფეხნო ახლანდელი „ბირჟა“ არ გეგონოთ. „ბირჟაზე“, ხომ იცით, ან ამთქნარებენ, ან ლაზღანდარობენ, ან გაწიწმატებულნი წვრილმანი რაღაც-რაღაცეებისათვის ერთმანეთს ედავებიან უსაქმური ახალგაზრდები. საფეხნოზე მაშვრალნი იკრიბებოდნენ. დაღლილ მკლავსა და მუხლს დაასვენებდნენ, ქარს ამოაღებინებდნენ, ცისას და ბარისას იტყოდნენ, თავგადასავალს ყვებოდნენ, არჩევდნენ, სჯიდნენ გაგონილს, გაკეთებულს თუ ნანახს. მაგრამ აქ ყველა როდი მსჯელობდა. ახალგაზრდები მეტწილად უსმენდნენ, ცხოვრების სიბრძნეს სწავლობდნენ. თუ მაინცდამაინც რომელიმე მათგანი რაიმეს იტყოდა, უფროსები ყურადღებით და უჩვეულო ტაქტით მოუსმენდნენ; მოსაწონს მოუწონებდნენ, წააქეზებდნენ, შეცდომას ან მარცხს გაუქარწყლებდნენ.

საჩინო საუბარში არ ერეოდა, მაგრამ მას სხვა სატკივარი სჭირდა. იქ ნათქვამ-გაგონილი ჭკუაში არ უჯდებოდა. ხმას იმიტომ არ იღებდა, რომ საკუთარ თავს არ ენდობოდა; ვაითუ ისე არ გამომივიდესო. საფეხნოს ყველაზე ადრე ტოვებდა და შინ, სადაც არც მსმენელი ჰყავდა და არც მოდავე, საფეხნოზე ნახულ-გაგონილის განსჯა-შეფასებასა და გაცუცურაკებას იწყებდა.

მისმა უნდო გულმა ცოლთან ერთი წელიც კი ვერ გაძლო — ცოლმა ვერ აიტანა მისი უნდობლობა და გაეცალა. ნათესაობა და მეზობლები თანდათან შემოეცალა. მარტოდ შთენილი, ისედაც გულჩათხრობილი, სიბერეში მთლად დამუნჯდა. კაცმა არ იცოდა, როდის რას აკეთებდა, რა უჭირდა, რა ულხინდა.

ერთ მშვენიერ დღეს რძალმა მის აივანზე კუბოს სახურავი შენიშნა. ქალი შეწუხდა, ნამდვილად გარდაიცვალა ის უბედური და ასე როგორ გამოვშტერდი, რომ ვერაფერი გავიგეო. როგორი იყო მისი გაოცება, როცა იმავე წუთს თვითონ სალ-სალამათ მაზლს მოჰკრა თვალი. ქალი დაიბნა, ვერ გაიგო, რა ხდებოდა. ბოლოს იფიქრა, იქნებ ვინმეს გაუკეთაო და ახლა იმაზე აფორიაქდა, ვის დაატყდა ეს უბედურებაო. ეს ვარაუდიც რომ არ გამართლდა?!

საჩინომ თურმე ყველაფერი თავისთვის დაიმზადა.

ვინ იცის, რას განიცდიდა ამ დროს მისი უბედური, უნდო გული?!. კუბოს გაკეთებაც კი არავის ანდო. ეს კი არა, რომ შეძლებოდა, ალბათ, თავსაც თვითონ დაიმარხავდა

თუმცა ეს რა სათქმელია, იმ საბრალოს დიდი ხანია თავი ცოცხლად ჰყავდა დამარხული!



ქართველი ტურისტების ჯგუფი ამას წინათ უნგრეთს ვესტუმრეთ. ბალატონის წარმტაც ტბაზე გასეირნების შემდეგ ენაწყლიანი გამყოლი დაწვრილებით გვესაუბრებოდა ამ მსოფლიო მნიშვნელობის კურორტის წარსულზე, მის აწმყოსა და მომავალზე. ომის მრისხანე დღეებიც გაიხსენა. გვითხრა, აქ, ამ ტბასთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში მრავალი საბჭოთა ჯარისკაცი მონაწილეობდაო. ბოლოს, გადაშლილ ბლოკნოტში არც კი ჩაუხედავს, ისე დაგვისახელა ოძელაშვილის გვარი.

ამ გვარის გაგონებაზე, რაღა თქმა უნდა, მაშინვე თვალწინ წარმოგვიდგა ჩვენი სახელოვანი სახალხო გმირი არსენა ოძელაშვილი.

— მაპატიეთ, — მოიბოდიშა გიდმა, — თქვენი სახელოვანი წინაპრის არსენ ოძელაშვილის შესახებ აქამდე არაფერი მსმენია... არჩილ ოძელაშვილს კი, შემიძლია თამამად ვთქვა, მთელი უნგრეთი იცნობს.

ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში მალე დავრწმუნდით.

* * *

დიდი სამამულო ომის ვეტერანს არჩილ ოძელაშვილს თბილისში, პეკინის ქუჩა № 5 სახლში მივაგენი.

დინჯი კაცი გამოდგა არჩილი, ტკბილად მოუბარი, ავისა და კარგის უშეცდომოდ გამრჩევი.

— ომი ავსტრიაში დავასრულე, — მიყვება მასპინძელი, — იქ შევხვდით ჩვენ და ამერიკელები ერთმანეთს. ამ ისტორიული შეხვედრის აღსანიშნავად სახელდახელოდ ავაგეთ პატარა ობელისკი. ჯერ კიდევ სველ კვარცხლბეკზე ავდექი და ამერიკელების თვალწინ ქართულად წავაწერე ჩემი სახელი და გვარი...

ვიდრე თბილისელი ვაჟკაცი არჩილ ოძელაშვილი თავის ხელწერას ავსტრიის მიწა-წყალზე დატოვებდა, დიდი, სახელოვანი და ძნელად სავალი გზა განვლო.

ცხრამეტი წლისამ ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა. პირველი საბრძოლო ნათლობა უკრაინის ფრონტზე მიიღო. რაღა ბევრი გავაგრძელოთ სიტყვა, სამშობლოს დასაცავად ამხედრებული მებრძოლის სიმამაცეზე უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მრავალი მადლობა და მთავრობის ჯილდოებიც ნათლად მეტყველებენ.

საბჭოთა მიწა-წყლიდან მტრის განდევნის შემდეგ ომმა რუმინეთში გადაინაცვლა. მექანიზებული კორპუსი, რომლის შემადგენლობაში არჩილ ოძელაშვილი იბრძოდა, მალე უნგრეთის განთავისუფლებას შეუდგა.

ჩვენი თანამემამულის ტანკი ერთ-ერთი პირველი შეიჭრა შეკეშვარეში. მას არც ბუდაპეშტის განთავისუფლებაში შეურცხვენია ოძელაშვილების გვარი. ფიცხელ ბრძოლებში არჩილმა ბევრჯერ ისახელა თავი, სიმამაცით, გამბედაობით ბევრჯერ დაიმსახურა თანამებრძოლთა ქებაცება.

* * *

ტანკისტებს განსაკუთრებით ბალატონის ტბის მიდამოებში გაუჭირდათ. მტერი გააფთრებით იცავდა თითოეულ მტკაველს, თითოეულ გოჯს. აღმოსავლეთით, საიდანაც ჩვენები უტევდნენ, ნიადაგი დატბორილი იყო და ტანკებს ძალიან უჭირდათ მოძრაობა.

ის-ის იყო მიწყნარდა ბრძოლა.

არჩილმა კოშკურიდან წყალში სანახევროდ ჩაფლული საბჭოთა ტანკი შენიშნა. იფიქრა, მივალ, მივეშველები, ბუქსირით სამშვიდობოს გამოვიყვანო.

დაძრა თუ არა მანქანა, მოულოდნელად გზა ფაშისტთა სამმა „ვეფხვმა" გადაუჭრა. ყველაფერს წამები წყვეტდა. არჩილი გულდაგულ ეძგერა მტრის სამ ტანკს. მოწინავე „ვეფხვი" ცეცხლის ალში გაეხვია. ვიდრე მეგობრები წამოეშველებოდნენ, ოძელაშვილმა მეორე „ვეფხვი" გამოიყვანა მწყობრიდან და ახლა მესამე გაქცეულ ტანკს დაედევნა...

საბჭოთა ტანკისტებმა მალე პირწმინდად გაწმინდეს ფაშისტებისაგან ბალატონის ტბის მისადგომები.

ბალატონზე სამარადისო სიმშვიდე და ბედნიერება დამკვიდრდა.

* * *

არჩილ ოძელაშვილს უკვე კარგა ხანია მოუშუშდა ორთავე ფეხის ჭრილობა. ახლა იგი მძღოლად მუშაობს. უზის საჭეს და მგზავრები დაჰყავს ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში...

როცა ავტოპარკში უნგრული ავტობუსი „იკაროსი" მიიღეს, არავის გაჰკვირვებია, პირველი მანქანა სწორედ არჩილ ოძელაშვილს რომ ჩააბარეს.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების ოცდამეათე წლისთავისათვის მზადების დღეებში არჩილს მოულოდნელი სტუმრები ეწვივნენ. უნგრეთის ტელევიზიიდან ჩამოსულმა ჯგუფმა მათი მიწა-წყლის ერთ-ერთი გამათავისუფლებელი — არჩილ ოძელაშვილი კინოფირზე გადაიღო.

ეს ფირი მალე მთელს უნგრეთს მოივლის.

ლხინის სუფრა გაიშალა ოძელაშვილის ოჯახში. მეუღლე, ქალიშვილი, სტუმრები სუფრას შემოუსხდნენ. თამადობა ოჯახის მამამ იკისრა. წამოდგა ფეხზე არჩილი და სულ პირველად სიყვარულის, მეგობრობის, სამარადისო მშვიდობის სადღეგრძელო შესვა.

რეზო მამალაძე

● ზოოპარკში.
● არჩილ ოძელაშვილი.
● გმირთა მოედანზე.
● არჩილ ოძელაშვილი შინ.

ა. გოგოლაძის ფოტო.

# ოძელაშვილის გმირთა...













# სვიატოსლავ რიხტერი თბილისში

გამოჩენილი საბჭოთა პიანისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი სვიატოსლავ რიხტერი თბილისის ხშირი სტუმარია. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში იგი ცამეტჯერ ეწვია ჩვენს დედაქალაქს. ამ ხნის განმავლობაში მან თბილისში ხუთჯერ გამართა კონცერტი.

გამოჩენილ მუსიკოსს საქართველოში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. მის კონცერტებს აღფრთოვანებაში მოჰყავს თბილისელები. სასურველი სტუმარი ამ გაზაფხულზე კვლავ ეწვია ჩვენს დედაქალაქს და გაახარა მუსიკის მოყვარულები — გამართა სამი კონცერტი.

როგორც ცნობილია, დიდი მუსიკოსი ფუნჯსაც ჩინებულად ფლობს. იგი, როგორც მხატვარი, ფართო საზოგადოებრიობას პირველად საქართველოს სახალხო მხატვარმა ელენე ახვლედიანმა გააცნო. მისი ნამუშევრები პირველად ელ. ახვლედიანის სახელოსნოში იყო გამოფენილი.

თბილისელები იმ დღეებში კვლავ გახდნენ უჩვეულო ექსპოზიციის მოწმენი. მხატვრის კვირეულთან დაკავშირებით ელენე ახვლედიანის სახელოსნოში კვლავ მოეწყო სვიატოსლავ რიხტერის ნახატების გამოფენა. სვიატოსლავ რიხტერი სახვითი ხელოვნების დიდი პატრიოტია. მას დიდი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს ელენე ახვლედიანთან. 1973 წელს მოსკოვში პიანისტის სახელოსნოში მოეწყო ქართველი მხატვრის ელ. ახვლედიანის ნამუშევართა გამოფენა.

სვიატოსლავ რიხტერს უყვარს მოგზაურობა, შემოვლილი აქვს საქართველოს მრავალი კუთხე.

„მე ძალიან მიყვარს საქართველო, თბილისი; აქ ბევრი ნაცნობი და მეგობარი მყავს. არის დღეები ჩემს სიცოცხლეში, რომელთა გახსენება დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

არ დამავიწყდება 1953 წელი... საქართველოში გატარებული დღეები, როცა ერთ მშვენიერ დღეს მე, ნინო დორლიაკი, ნატო ვაჩნაძე და ელენე ახვლედიანი მანქანით კახეთისაკენ გავემგზავრეთ, შემოვიარეთ მთელი კახეთი. მანქანას ნატო მართავდა; ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ამ მოგზაურობამ“, — გვიამბობს სტუმარი





● სვიატოსლავ რიხტერი.

● ელენე ახვლედიანის სახლის წინ.

● მასპინძლის სახელოსნოში.

● ვიდრე კონცერტი დაიწყება.

● რიხტერის გამოფენის სტუმრები.

ა. სააკოვის ფოტო

# წიგნის სამყაროში

წიგნის სამყაროში

## მონოგრაფია შალვა დადიანზე

— ის, ვინც შეპყრობილია იმის სურვილით, რომ იყოს განსაკუთრებული, გააკვირვოს, განაცვიფროს მკითხველი, — წერდა ლ. ტოლსტოი, — პატივმოყვარეა, მაშასადამე, არც მწერალია. უბრალოება მშვენიერის აუცილებელი პირობაა. და რაც არ არის სადა და ხელოვნურია, არ შეიძლება კარგი იყოს.

შ. დადიანის მთელი შემოქმედება განუყრელად არის დაკავშირებული ამ მრწამსთან. მან შექმნა ღირსეული ნაწარმოებები და სამართლიანად მიეკუთვნება გამოჩენილ ადამიანთა იმ რიცხვს, რომელთა გახსენება, როგორც გოეთე ამბობს, ფიქრებს აგვიშლის ხოლმე და წამოიმართებიან ჩვენს თვალწინ, როგორც ანდერძი თაობებისა... ასეთ პიროვნებაზე რომ გამოაქვეყნო სრულყოფილი მონოგრაფია უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, მოითხოვს დიდ ენერგიას და იმ ეპოქის ღრმა ცოდნას, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა მონოგრაფიის ობიექტს. ეს ცოდნა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება მკაფიოდ ჩანს ცნობილი კრიტიკოსისა და მკვლევარის გ. ციციშვილის ახალ წიგნში „შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975). მკითხველს ამ ვრცელი ნაშრომით მთლიანი და სრული წარმოდგენა ეძლევა იმ გარემო პირობებზე, რომელშიც ყალიბდებოდა იშვიათი ნიჭისა და თავისებური ხელწერის დრამატურგისა და ბელეტრისტის ხასიათი, მოქალაქეობრივი სახე, მსოფლმხედველობა.

შ. დადიანი იზრდებოდა თავისი შინაგანი ბუნების შესაბამისად და ოჯახური გარემოს წყალობით მასში ვითარდებოდა სიკეთის, კაცთმოყვარეობის აზრი და გრძნობა. ყველა დიდი მწერალი გამსჭვალულია თავისი სამშობლოს, კაცობრიობის ინტერესებით, ხალხის ჭირ-ვარამის მოზიარეა. სწორედ ასეთი მწერალია შ. დადიანი, რომელიც ყველგან და ყოველთვის ხაზს უსვამდა ქართველი მშრომელი გლეხობიდან გამოსულ ადამიანთა მაღალ ზნეობას. მან უბიწო, გულწრფელი, წესიერი და გულღია ადამიანებისაგან დედის რძესავით შეითვისა ძვირფასი ზნეობრივი ჩვეულებანი. მისი ესოდენ დინჯი ხასიათი თანდაყოლილი თვისება როდი იყო, არამედ მის ირგვლივ მცხოვრები უბრალო ხალხის ზემოქმედებაც. ამიტომაც არის ასე ღრმად ჩაქსოვილი მის შემოქმედებაში მშრომელი ადამიანების სიყვარული და რწმენა. ხალხის სამსახური იყო დედააზრი მთელი მისი ცხოვრებისა.

შ. დადიანი ლიტერატურულ ასპარეზზე 1896 წელს გამოვიდა. მისი პირველი მოთხრობა „წმინდა ცრემლები“ „ივერიაში“ დაიბეჭდა. მონოგრაფიის ავტორი, რომელმაც ასე შესანიშნავად გააშუქა შ. დადიანის ცხოვრება და საზოგადოებრივ-თეატრალური მოღვაწეობის გზა, რევოლუციამდელ შემოქმედების სრულ და ნათელ ანალიზს იძლევა. მან მკაფიოდ განსაზღვრა მწერლის სტილი და მიმართულება.

შ. დადიანის ნიჭის სრული განვითარება საბჭოთა სინამდვილეში ხდება.

რა პოზიცია ეჭირა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში შ. დადიანს?

დადებითი. იგი, როგორც „მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე აქტიურად ჩაება ახალი კულტურის შენების საქმეში და თავიდანვე გამომჟღავნა სახალხო საქმისადმი ერთგულება, უშრეტი ენერგია, ახალი ამოცანების სწორად შეცნობის სანაქებო უნარი“ (გვ. 110). მაგრამ „მან ასევე სწრაფად ვერ შესძლო თავისი მხატვრული შემოქმედების ახალ საფუძველზე გადამყნობა. მას, როგორც მწერალსა და დრამატურგს, კიდევ კარგა ხანს შეაგვიანდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის აქტიურ შემოქმედთა მწყობრში ჩადგომა“. მონოგრაფიაში კარგად არის ახსნილი ამის მიზეზი. ავტორი აქვე სავსებით სწორ შეფასებას აძლევს პირველ სატირულ კომედიას „კაკალგულში“ (1928) და პირველ საბჭოთა ტრაგედიას „თეთნულდს“ (1931). ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მონოგრაფიის ავტორს, რომლის აზრით „კაკალ-გულში“ ეტაპური მნიშვნელობის ნაწარმოებია არა მარტო შ. დადიანის შემოქმედებაში, არამედ ქართულ საბჭოთა დრამატურგიაშიც, რამდენადაც იგი მოასწავებდა ჩვენი ლიტერატურის სამსახურში კიდევ ერთი ახალი და ფრიად საჭირო და

## ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა

კოტე ანთაძის ნაშრომის თემა ფრიად აქტუალურია. ავტორის მიერ კვლევის ობიექტად შერჩეული პრობლემა მეტად რთული, შრომატევადი, შეიძლება ითქვას, თავსატეხი სამუშაოა. მოსახლეობის დინამიკის მეტ-ნაკლებად სწორი სურათის წარმოდგენა ძნელი საქმეა, ამ სიძნელეს განსაკუთრებით საქართველოს მოსახლეობის შემსწავლელი გრძნობს. ეს კი, როგორც ცნობილია, სათანადო სტატისტიკური მასალის უქონლობითაა გაპირობებული. ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერს უხდება კვლევის საშუალებათა რთული კომპლექსის გამოყენება, სრულიად სხვადასხვა ხასიათის წყაროების მოშველიება, მათი კრიტიკული განხილვა, დაშვებული შეცდომის დადგენა, მისი გასწორების გზების ძებნა და ა. შ.

აღებული თემის წარმატებით დამუშავება მოითხოვდა არა მარტო ისტორიის, კერძოდ, საქართველოს ისტორიის, საფუძვლიან ცოდნას, არამედ სტატისტიკურ-ეკონომიურ ორიენტირებასაც.

საქართველოს მოსახლეობის დინამიკის შესწავლით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის, ფ. გოგიჩაიშვილის, ს. კაკაბაძის, პ. გუგუშვილის, ვ. ჯაოშვილისა და სხვათა ღვაწლი. ავტორი კარგად იცნობს მათ გამოკვლევებს, სათანადოდ აფასებს და იყენებს მათ.

კ. ანთაძის ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია, საკვლევი საკითხების ქვეყნის ისტორიული განვითარების საერთო ფონზე განხილვა. ავტორი იძლევა არა მარტო სტატისტიკურ მასალას, მიღებულს რთულ გაანგარიშებათა შედეგად, არამედ ამა თუ იმ დემოგრაფიული ფაქტის ისტორიულ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ასპექტში გააზრებას. ავტორი არ ისაზღვრება საქართველოს და მისი ცალკეული რაიონის მოსახლეობის ზრდა-შემცირების ფაქტის კონსტატაციით, არამედ ამ მოვლენის დამაჯერებელ ახსნას გვთავაზობს.

დიდი შრომისა და დაკვირვების შედეგად არის ავტორის მიერ შედგენილი XIX საუკუნის საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ცხრილი — იგი მოიცავს 1801, 1832, 1864, 1886 და 1897 წლების ცნობებს. ამასთანავე, ამ ცხრილში კ. ანთაძის მიერ მიღებული შედეგები შედარებულია აკად. პ. გუგუშვილის ცნობებთან და აღნიშნულია დამთხვევა-არდამთხვევის შემთხვევა-მიზეზები. ორივე მკვლევარის მონაცემები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. ყოველ შემთხვევაში, 1864, 1886 და 1897 წლებში ორივე ავტორი ქართველთა მოსახლეობის თითქმის ერთსა და იმავე რაოდენობას ასახელებს. მათ შორის განსხვავება თავს იჩენს მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის კოეფიციენტის დადგენისას, მაგრამ ისიც არა დროის ყველა მონაკვეთის მიმართ. მაგალითად, ერთიც და მეორეც 1864-1897 წლებში ქართველთა მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლად 0,97 პროცენტს ასახელებს. სხვადასხვანაირია მათი მონაცემები XIX საუკუნის მეორე მესამედის — 1832-1864 წლების შესახებ. პ. გუგუშვილის გაანგარიშებით, ამ დროს ქართველთა მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა 1,30 პროცენტს უდრიდა, წინააღმდეგ 0,97 პროცენტისა 1864-1897 წლებში; კ. ანთაძის აზრით კი — 0,97 პროცენტს; ე. ი. უკანასკნელის მონაცემებით, ქართველთა ზრდის კოეფიციენტი გასული საუკუნის ბოლო მესამედისთვის მეო-

---

(კ. ანთაძე, „საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში“).

# წიგნის სამყაროში

## ნოქალაქევი — არქეოპოლისი

სურათები იხილეთ გარეკანის მეოთხე გვერდზე.

ძველი ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) დედაქალაქი ნოქალაქევი (ბერძნული წყაროებით — „არქეოპოლისი“) მდებარეობს მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე (ცხაკაიას რაიონი), კოლხეთის ბარისა და მთიანეთის მიჯნაზე.

ნოქალაქევი ისტორიულ წყაროებში IV-VIII საუკუნეებში იხსენიება. მაგრამ აქ ციხე-სიმაგრისა და კოლხეთის ცენტრის არსებობა ჩვენ წ-მდე III ს. დასაწყისიდანაა სავარაუდო.

მემატიანე ლეონტი მროველის ცნობით იბერიის მეფე ფარნავაზმა კოლხეთის ერისთავობა მისცა ქუჯის, რომელმაც ციხე-გოჯი ააშენა, ციხე-გოჯს უკავია მდინარის ნაპირი მაღალი მთის ჩათვლით. ციხე-ქალაქის შიგნით ნაპოვნია შენობათა ნანგრევები, ეკლესიები და სხვა.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფ. პ. ზაქარაია) ნოქალაქევის არქეოლოგიური შესწავლა 1978 წელს დაიწყო. პირველსავე წელს მიკვლეულ იქნა აბანო, რომელიც საქართველოში დღემდე აღმოჩენილი აბანოებიდან ყველაზე დიდი და რთული ნაგებობაა. იგი აგებულია ცენტრალური გათბობის სისტემით.

იქვე მახლობლად V საუკუნეში

# წიგნის სამყაროში

სასარგებლო, მანამდე გამოუყენებელი ჟანრის ჩადგომას. მონოგრაფიაში თეორიულად სწორად და კარგად არის დასაბუთებული ის არსებითი განსხვავება, რომელიც არსებობს საბჭოთა და რევოლუციამდელ სატირულ კომედიებს შორის, ახსნილია, თუ რაში მდგომარეობს თანამედროვე სატირული კომედიის სპეციფიკა. რა თქმა უნდა, მკვლევარი მართალია, როდესაც ამბობს: „სატირული კომედიისათვის აუცილებელია დიდი და მდიდარი „ტევადი“ სიუჟეტი“.

უდავოდ დიდია შალვა დადიანის დამსახურება ტრაგედიის ჟანრის გაცოცხლების საქმეშიც. მხედველობაში გვაქვს „თეთნულდი“. წიგნის დიდ ღირსებად მიგვაჩნია ტრაგედიის პრობლემის მართებულად გადაწყვეტა.

გ. ციციშვილმა სწორი ინტერპრეტაცია მისცა ამ მეტად რთულ და საინტერესო ჟანრს. იგი მიმოიხილავს შ. დადიანის მიერ გადმოკეთებულ პიესებს და გვაცნობს მწერლის ისტორიული დრამის თაობაზე გამოთქმულ შეხედულებებს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

დიდი ბელეტრისტის სახელი შალვა დადიანს დაუმკვიდრა „გიორგი რუსმა“ და „გვირგვილიანების ოჯახმა“. შეიძლება „გიორგი რუსი“ ყოველთვის ვერ პასუხობდეს საბჭოთა ისტორიული რომანისადმი წაყენებულ მაღალ მოთხოვნებს (ეს მონოგრაფიის ავტორის აზრია), მაგრამ იგი მიუხედავად ხარვეზებისა, დღესაც რჩება ერთ-ერთ საინტერესო ქმნილებად. რაც შეეხება „გვირგვილიანების ოჯახს“, რომელიც „მანჯი რობუს“ ციკლის პირველი წიგნია, „ქართული პროზის უაღრესად საგულისხმო და მეტად საინტერესო თხზულებას წარმოადგენს“ (გვ. 251); ეს დასკვნა ნაწარმოების ღრმა ანალიზის შედეგია.

მონოგრაფიის მესამე თავი შ. დადიანის დრამატურგიას ეხება. ავტორი მართალია როდესაც ამბობს: 1905-1907 წლის რევოლუციის ეპოქაში დაწერილმა პიესებმა „მღვიმეში“ და „როს ნადიმობდნენ“ ფრიად დიდი როლი შეასრულეს ქართული დრამატურგიის ისტორიაშიო. კრიტიკოსმა დაკვირვებით გააანალიზა მათი იდეურ-თემატიკური მხარე, დრამატურგიული ტექნიკის თვალსაზრისითაც განიხილა ისინი და გამოთქმულ მოსაზრებაში სავსებით დაგვარწმუნა.

ფრიად მნიშვნელოვანი პიესებია „გეგეჭკორი“, „ვარამი“ და „გუშინდელნი“. პირველი ორი ისტორიული დრამებია, მესამე კი, რომელიც რევოლუციამდელი ქართული დრამატურგიის მიღწევად არის აღიარებული, მახვილი პოლიტიკური პამფლეტია რეაქციისდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მონოგრაფიის ავტორის მტკიცებით სამივე პიესა, რომელთა იდეური შინაარსი წიგნში ფართოდ არის განხილული, დრამატურგიული ფორმის თვალსაზრისითაც სანიმუშოა. მხატვრული ოსტატობის მხრივ აღსანიშნავია საბჭოთა პერიოდში შექმნილი პიესები, რომელთა შინაარსზე წიგნში დაწვრილებით არის მოთხრობილი.

როგორც ცნობილია, შ. დადიანი უაღრესად ნაყოფიერი მწერალი იყო. იგი მრავალი ნაწარმოების ავტორია. აღსანიშნავია, რომ მონოგრაფიაში მისი ყველა, დიდი და პატარა მოთხრობა, ნოველა სათანადოდ არის განხილული, ნათლად ჩანს მათი იდეურ-მხატვრული დონე, ღირსება და ნაკლი. მონოგრაფიის წარმატების მიზეზად მიგვაჩნია ისიც, რომ მასში, დადიანის ამა თუ იმ თხზულებასთან დაკავშირებით, მეტად საჭიროზოგადად თეორიული საკითხებია წამოჭრილი, რაც მთავარია, გადაწყვეტილია დამაჯერებლად. მეცნიერული კვლევის შესაბამისად.



არა მარტო მხატვარი, არამედ კრიტიკოსიც თავისი დროის ყველაზე მოწინავე ცნებების გამომხატველი უნდა იყოს. გ. ციციშვილი ამ სამართლიან მოთხოვნას პირნათლად რომ პასუხობს, მოწმობს სარეცენზიო მონოგრაფიაც, რომელშიც ბევრი რამ არის ახალი და სასარგებლო. ამიტომაც დიდ შენაძენად ვთვლით მას.

ვლადიმერ ჯიბუტი

---




დასადგენად. იგი წყაროებისა და სხვადასხვა მკვლევართა მონაცემების კრიტიკული შესწავლა-ანალიზის გზით ორიგინალურ, სრულიად განსხვავებულ მონაცემებს იძლევა. დაკვირვების შედეგები შეჯამებულია სპეციალურ ცხრილში (გვ. 93), შედარებულია აკად. პ. გუგუშვილის მონაცემებთან. ავტორი როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც დამაჯერებლად ხსნის განსხვავების მიზეზებს.

კ. ანთაძე ძალზე რთული კვლევაძიების გზით მივიდა ფრიად საყურადღებო დასკვნამდე საქართველოს ქართველი მოსახლეობის თითქმის ორჯერ (95, 97 პროცენტით) გაზრდის შესახებ XIX საუკუნის განმავლობაში. აკეთებს რა ამ დასკვნას, იგი არ თვლის მას აბსოლუტურად ზუსტად.

ავტორს ბევრი რამ გაუკეთებია საქართველოს მოსახლეობის კლასობრივი შედგენილობის შესწავლის, ქალაქისა და სოფლის მობინადრეთა, მწარმოებელი და არამწარმოებელი ფენების ხვედრითი წონის დადგენის მხრივაც. საკითხის ამ ასპექტით განხილვით ჯერ არავინ დაინტერესებულა და ამიტომ მით უფრო დასაფასებელია კ. ანთაძის ეს პირველი ცდა. საყურადღებოა და ვფიქრობთ, გასაზიარებელიც მისი დასკვნა საქართველოში რუსეთთან შედარებით არამწარმოებლური მოსახლეობის მეტი ხვედრითი წონის შესახებ (5,50 და 8,67 პროცენტის შესაბამისად), რაც, მისი აზრით, განსაზღვრეს თბილისის როგორც კავკასიის მხარის სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციებმა და საქართველოში ფეოდალიზმის უფრო ძლიერი გადმონაშთების შედეგად სამღვდელოებისა და თავადაზნაურობის მრავალრიცხოვნობამ (გვ. 255).

კ. ანთაძე დამაჯერებლად ასაბუთებს სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოს ქალაქის მოსახლეობის უფრო სწრაფი ზრდის შესახებ, ვიდრე სოფლისა. რაც მთავარია, თვით ქალაქის მოსახლეობის აბსოლუტური და შედარებითი ზრდა (5,52 პროცენტი — 1832 წელს და 12,66 პროცენტი —1897 წელს) ახსნილია, არა მარტო გარეგან ფაქტორთა (სამხედრო ნაწილების განლაგება და სხვ.) ზეგავლენით, არამედ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებით: ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და ბურჟუაზიული წყობის (მოგვიანებით წყობილების) განვითარების შედეგად საქართველოს მოსახლეობის ამოძრავებით, სოფლის დაუსაქმებელი ნაწილის (თვით რეფორმამდელ ხანაშიც კი) ქალაქში გადაბარგებით და ა. შ.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: კოტე ანთაძემ შექმნა ძალზე საჭირო ნაშრომი; მართალია ავტორი დიდსა და რთულ თემას შეეჭიდა, მაგრამ მონდომებამ, საფუძვლიანმა მომზადებამ და საქმისადმი სიყვარულმა მას წარმატება მოუტანა.

პროფ. ი. ანთელავა

რე მესამედთან შედარებით არ შემცირებულა, იგი უცვლელი დარჩა — 0,97 პროცენტი.

ავტორს დიდი მუშაობა ჩაუტარებია XIX საუკუნის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის რაოდენობის

წიგნის სამყაროში

წიგნის სამყაროში

აგებული ბაზილიკა დგას, რომელიც მოგვიანებით გუმბათოვნად გადაუკეთებიათ.

ექსპედიციის მეტად ღირსშესანიშნავი აღმოჩენაა აგრეთვე ეგრისის მეფეთა სამსართულიანი სასახლე. იგი სხვა მთავარ ნაგებობებთან ერთად ქალაქის ქვედა ნაწილში, შედარებით ვაკეზე დგას.

გათხრების დროს სხვადასხვა ადგილზე აღმოჩენილ იქნა ადგილობრივი და უცხოური კერამიკა. მათში განსაკუთრებით გამოირჩევა ამფორები. დიდი რაოდენობით არის ნაპოვნი მინის სასმისი, სარკმლის მინის ნატეხი და სხვა. ნაპოვნია აგრეთვე მონეტები, ლითონის ჭურჭლის ნატეხები და კიდევ სხვა მრავალი საინტერესო ნივთი.

თუ რატომ შეერქვა ციხე-გოჯს „სამზღუდე“ ამის გასარკვევად ექსპედიციის მიერ დიდი მასშტაბის სამუშაოები იქნა ჩატარებული ნოქალაქევის აღმოსავლეთ მონაკვეთში. გაირკვა რომ ამ მხარეზე, როგორც ბუნებრივად ნაკლებად დაცულ მხარეზე, საჭირო გამხდარა თითქმის ერთმანეთის პარალელურად სამი გალავნის აგება. ცხადია, ასე მტკიცედ ნაგები სამი ზღუდე მტრისათვის ძნელი გადასალახი იქნებოდა.

იმავე მონაკვეთზე, ქალაქგარეთ, აღმოჩნდა ქუჯისდროინდელი ქვევრსამარხები, რომლებშიც იპოვეს ჩვენ წელთაღრიცხვამდე III-II სს. მეტად მდიდარი ინვენტარი.

ნოქალაქევი VIII ს. ოცდაათიან წლებში საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად დაანგრია არაბთა სარდალმა მურვან-ყრუმ. ამის შემდეგ ეს ქალაქი აღიგავა, დარჩა მხოლოდ მცირე მასშტაბის ციხე-სიმაგრე.

XVI-XVIII სს. აქ დადიანთა ერთ-ერთი რეზიდენცია ყოფილა.

# ლექსები

## სილოვან ნარიმანიძე

●

დამშვიდდა შფოთვა და მიიძინა,
აღარ მომნახა ერთი ხანია,
მე კმაყოფილი ბედით როცა ვარ,
გეტყვით სიმართლეს, არ მიხარია.
ფიქრი გამირბის სამყაროს იქით,
ჩემი სიჩუმე მიკვირს ძალიან,
ბედნიერება ახლოა ვიცი,
მაგრამ რატომღაც, არ მიხარია.
რა არის იგი ბრძოლის ვნებასთან,
ხშირად ფიქრისთვის მკაცრი წამია!
განვლილ დღეებთან, განვლილ
ღელვასთან,
დამშვიდობებაც საოცარია...
კვლავ ღამეებთან შეხლას ვიგონებ
და გზებს, ნისლებს რომ დაუფარია,
ბედნიერი ვარ, შვებას იქ ვპოვებ,
თუმცა არ ვიცი, რა მიხარია.

## სამთავისი—ქების ღირსი

იორამ ჩადუნელს

სამთავისი — ქართლის გულში,
სულმნათი და ქების ღირსი,
აზიდულა გალავანი,
ცამდე სწვდება მხარი მისი.
დგას და წარსულს მოიგონებს,
ამაღლებულ დღეებს უსმენს,
წარსულზე კი მხოლოდ სიო
და ხანდახან ქარი უსტვენს.
გადაჰყურებს ქართლის მთა-ბარს,
საქართველოს გადაჰყურებს,
წარსულზე კი მოთარეშე,
მხოლოდ ქარი დაგრუხუნებს.
უხარია საქართველომ
გაამრავლა მომავალი,
წარსულზე კი იმ წარსულმა
თან წაიღო თავის ვალი.
სამთავისი დგას და დინჯად
ამაღლებულ დღეებს უსმენს,
წარსულზე კი სიო ჰყვება
და ხანდახან ქარი უსტვენს.

●

გული დაგესლილი,
ბევრი ჰრილობებით...
ქარებს უქროლიათ
ნადირშაჰივით,
ახლა წევს სიმშვიდე,
მშვიდად იცოხნება,
ბოსელთან მოკეცილი
დღე
შავი ზაქივით...
ახლა რომ ომი იყოს,
ალბათ, ვიომებდი,
სადღაც უსიერში
ჩემთვის ჩუმად ვყეფდი,
ალბათ, დამთენთავდნენ
უთვალავი გზები,
შენ კი დაწყნარებას
აღარ დამიწყებდი...

## მცხეთის ზმანება

აქეთ მომართეს ბასრი ბრჭყალებით
დინოზავრებმა და ყაზარებმა,
აქვე დარეკეს ბრძოლის ზარები,
სამყაროს უხმეს ამორძალებმა...
ვისზე იგლოვეს,
ვისზე იმღერეს,
ვინ განადიდეს მცხეთოსანებმა,
ან სამყაროში ვიღას მოუხმეს
ბედზე გამწყრალმა ერის მამებმა?
არ შეივრდომეს მათი გოდება,
მათი გმირობა, მათი წამება...
და სივრცეებში დარჩა ძახილად
მცხეთის ჯვარი და
მცხეთის ზმანება...

## შორს, ენგურის ზევით

თითქოს რაღაც გაიხსენა,
შეთრთოლდება ისე,
და ათასჯერ ძველ დიდებას
ჰყვება რუხის ციხე.
დღეს კი, დღეს კი,
იმ ციხესთან
სულ სხვა სიო დაჰქრის,
ყოველ ბუჩქთან, ყოველ ხესთან,
სუნთქვა არის ახლის.
გირბენია იმ ციხესთან
შმაგ ენგურის ზევით?..
სადაც მაღალ სვანეთს ღვიძავს,
შემართებით ძველით,
სადაც მაღალ უშგულიდან
იგზავნება რისხვით,
მკაცრი ელვა თვალებისა
შორეთს, მტრების ზიზღით.
ახლა ჩემს წინ აღმართულა,
ჯადოქრული ციხე,
სად ენგურის ელვარებას,
ეს ცხოვრება ისმენს.
ღვიძავს ენგურს, ოდიშს ღვიძავს,
ღვიძავს თვითონ ღამეს,
რკინის ხარი ახმაურებს,
მდუმარ არემარეს...
შენც აქა ხარ, არ დატოვე
საოცნებო მხარე.
შენც აქა ხარ, სად სიხარულს
მფენდი როგორც მთვარე,
ბევრის ხილვა და ღიმილი,
უნაზესი ქნარი,
ისევ გნახე, ისევ გიგრძენ,
მთებში მოგისწარი.
შორს კი მაღალ სვანეთს ღვიძავს
შემართებით ძველით.
აფხაზეთს თუ სამეგრელოს,
იქ, ნისლების ზევით,
ვერვინ მნახოს დაცემული
და მორწყული სისხლით,
თქვენთანა ვარ ანთებული
და შეკრული ფიცით,
სიხარულის ამღერება,
აზიდულა ცამდე,
შრომის შვილთა გახელება
გულს სიამეს აფენს.
მუდამ ერთად, მხარი მხარში,
გმირო ენგურჰესელებო,
საქართველოს მთა და ბარში,
უკვდავების მთესველებო!




ახალწლის წინა საღამო იყო. კიევის ცენტრალურ უნივერმაღში ჩვეულებრივზე მეტი ხალხი ირეოდა. ყველას უნდოდა საახალწლოდ რაიმე ახალი ნივთი შეეძინა. უნივერმაღის ვეება შენობა ზღაპრულ სკასავით ზუზუნებდა. უცებ ერთმა მოქალაქემ საოცარი რამ დაინახა, თვალებს არ დაუჯერა, დააკვირდა, ნამდვილად ასე იყო: მყიდველი, გამყიდველი, ყველა გაოგნებული მისჩერებოდა ამ საოცრებას... ზღვა ხალხში მშვიდად მოაბიჯებდა უთავო კაცი, უთავო კაცი არავის ეჯახებოდა, არაფერს ეხლებოდა. ხალხი უნებურად უთმობდა გზას. ვიღაცამ მილიციას უხმო, ვიღაცამ სასწრაფო დახმარებას დაურეკა, ეს უკვე მეტისმეტიაო გაიფიქრა უთავო კაცმა, შემობრუნდა, ხალხი გაარღვია, წამით დახლის უკან ჩაიმუხლა, წამოდგა და ახლა ხალხის წინ უკვე ჩვეულებრივი თავიანი მამაკაცი იდგა.

ამ შემთხვევის გამო ატეხილ ათასგვარ ჭორსა და მითქმა-მოთქმას მეორე დღესვე მოეღო ბოლო. კიევის საღამოს გაზეთი იუწყებოდა, რომ ეს საახალწლო-სახუმარო ნომერი „უჩინმაჩინმა" ჩვენი გაზეთის თანამშრომლის თხოვნით შეასრულაო. ხოლო თუ ვინ იყო ეს „უჩინმაჩინი", კარგად იცოდნენ კიეველებმა, რადგან იმ დროს კიევის ცირკში თავისი დასით გამოდიოდა ოთარ რატიანი.

„ფანტასტიკური, განუმეორებელი, სასწაულებრივი, მსოფლიოში ერთადერთი" და ვინ მოთვლის კიდევ რას არ წერენ ოთარ რატიანის ხელოვნებაზე.

... არენაზე გამოაქვთ საწერი მაგიდა, სკამი და წიგნების თარო. მაგიდაზე დევს საწერ-კალამი, წიგნები და ტელეფონი. თაროზე წიგნები აწყვია. უჩინმაჩინი არ ჩანს. კლოუნები დაეძებენ, ეძახიან. საიდანღაც ისმის უჩინმაჩინის ხმა:

— აქ ვარ!

— სად? — ეკითხებიან კლოუნები.

— საწერ მაგიდას ვუზივარ, ვმუშაობ და ხელს ნუ მიშლით!

— რით დაგვიმტკიცებ, რომ მართლა მაგიდას უზიხარ?

— მომიტანეთ სუფთა ფურცლები და ავტოგრაფებს ჩაგიწერთ! — ამბობს უჩინმაჩინი.

ჯერ ერთი კლოუნი გაუწვდის ქაღალდს, მერე მეორე. უხილავი ხელი ავტოგრაფებს წერს. რეკავს ტელეფონი. ყურმილი „თავისით" იწევა და ჰაერში ჩერდება. უჩინმაჩინი ვიღაცას პასუხობს. ყურმილი ისევ „თავისით" ეშვება. შემდეგ წიგნის თაროდან ჯერ ერთი წიგნი ავა ჰაერში, ჩერდება და იფურცლება, მერე — მეორე, ბოლოს მესამე „თავისით" მიფრინავს საწერი მაგიდისკენ, მაგიდაზე ეშვება და იფურცლება.

უჩინმაჩინი არც თავის ასისტენტ კლოუნებს აყრის კარგ დღეს. როცა ერთი კლოუნიეუბნება რაიმე დამალევინეო, უჩინმაჩინი ასისტენტებს უზარმაზარ „სამოვარს" გამოატანინებს. კლოუნს ჩაი არ ეპიტნავება, მაგრამ ზრდილობისათვის მაინც ავსებს ჭიქას. მეორე კლოუნი სიცილით იჭაჭება:

— ვიცი, რა ჩაის დალევაც გინდოდა, ეგეც შენ, გაიჭყიპე ახლა ცხელი წყლით!

პირველი კლოუნი ნირწამხდარი ხვრიპავს ჩაის და ჭმუნვით იტანს მეგობრის დაცინვას. უჩინმაჩინი კი „დაჩაგრულ“ კლოუნს ეუბნება:

— იმ შენს ძმაკაცს ისეთ დღეში ჩავაგდებ, ხულ თავბედი იწყევლოს, ნახოს, თუ კარგია კაცის დაცინვა.

ამის თქმა და დამცინავი კლოუნის გაუჩინარება ერთია. სად არის? — უკვირს პირველ კლოუნს. უჩინმაჩინი „სამოვრისკენ“ უთითებს. მართლაცდა, უზარმაზარი სამოვრის თავზე, იქ სადაც წუთის წინ თეთრი ჩაიდანი იდგა, ახლა კლოუნის თავი მოჩანს. პირველ კლოუნს სიცილი აუტყდება: — ჰეე, ვერ მომატყუებ, ტანი ხომ „სამოვარში“ აქვს ჩამალულიო. მაშინ უჩინმაჩინი „სამოვარს“ მთლიანად დააშლევინებს ასისტენტებს და ჰოი, სასწაულო! ჩანს მხოლოდ „სამოვრის“ მაჯისხიმსხო მილი და ამ მილზე შემოდებული კლოუნის თავი, რომელიც შეწუხებული გაიძახის: — ვაი, ვაი, დედიკო, ეს რა მიქნა უჩინმაჩინმა!

კიდევ ბევრი უჩვეულო ნომრის ავტორი და შემსრულებელია ოთარ რატიანი. არც ერთი მისი ნომერი არასოდეს არავის შეუსრულებია. „უჩინმაჩინის“ მთელი პროგრამა მსოფლიოში პირველი და ერთადერთია.



# კაცი-უჩინმაჩინი

ზურაბ რატიანი

როგორ შეძლო მსახიობმა ასეთი ზღაპრული ატრაქციონის შექმნა? რა უდევს საფუძვლად მის „უჩინმაჩინობას“?

ჯერ მოკლედ თვით ოთარ რატიანზე.

იგი დაიბადა ქ. ბათუმში 1920 წელს. რვა-ცხრა წლამდე თბილისში ცხოვრობდა. ჯერ კიდევ ექვსი წლისა მშობლებმა თბილისის კონსერვატორიაში, პროფესორ გროსმანთან მიიყვანეს. ბიჭუნამ ვიოლინოზე დაკვრის იშვიათი ნიჭი გამოამჟღავნა, მაგრამ მაინც დაანება თავი მუსიკას. საშუალო სკოლა ქ. მოსკოვში დაამთავრა, ერთხანს ესტრადაზე გამოდიოდა სატირულ-იუმორისტული ნომრებით.

1939 წელს მოსკოვის საცირკო სასწავლებელი დაამთავრა, მაგრამ ცირკის არენის ნაცვლად ფინეთის ომში მოხვდა, შემდეგ იბრძოდა დიდ სამამულო ომში, დაიმსახურა მთავრობის ჯილდოები. ომის შემდეგ ერთხანს საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის ერთ-ერთ ანსამბლს ხელმძღვანელობდა, ხოლო 1953 წლიდან ცირკში იწყებს მოღვაწეობას.

ოთარ რატიანი არაერთი გონებამახვილური ფოკუსისა და საცირკო ტრიუკის ავტორია, რომლებსაც დღესაც წარმატებით ახორციელებენ როგორც ჩვენი, ისე უცხოეთის ცირკის მსახიობები. თავის დროზე, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მსოფლიოში ერთადერთი უნიკალური ნომერი „ჟონგლიორები ბილიარდზე“. ამ ნომრით მან მრავალი უცხო ქვეყანა შემოიარა.

1955 წელს მან სხვა თვალით გადაიკითხა ჰერბერტ უელსის რომანი „კაცი-უჩინმაჩინი“. და სწორედ მაშინ დაებადა იდეა, ცირკის არენაზე გამოეყვანა უჩინმაჩინი. დიდხანს ფიქრობდა ოთარ რატიანი თუ როგორი უნდა ყოფილიყო მისი უჩინმაჩინი. იგი ოცნებობდა სხვა ყაიდის უჩინმაჩინის შექმნაზე. ისეთზე, რომელიც იქნებოდა კეთილი, ოდნავ ირონიული, სიცოცხლითსავსე, მაგრამ უაღრესად ადამიანური და აუცილებლად ოპტიმისტური, ასეთი რთული, არ გაგონილი ატრაქციონის შექმნისათვის მრავალი ტექნიკური პრობლემა იყო გადასაჭრელი და აი, ოთარ რატიანმა დახმარებისათვის თავის დეიდაშვილს კოტე იმედაშვილს (ამჟამად ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი) და მის კოლეგებს მიმართა. რამდენიმე წლის დაძაბული შრომა წარმატებით დაგვირგვინდა 1967 წლის შემოდგომაზე ქ. იაროსლავლის ცირკში შედგა მსოფლიოში უნიკალური ატრაქციონის — კაცი-უჩინმაჩინის პრემიერა.

უკვე მერვე წელია უჩინმაჩინი ტრიუმფით დააბიჯებს ჩვენი ქვეყნის ქალაქების საცირკო არენებზე. 1972 წელს უჩინმაჩინის დასი საგასტროლოდ რუმინეთში გაემგზავრა. ეს იყო გასტროლი-გამოცდა, თუ როგორ მიიღებდა უცხოელი მაყურებელი უჩვეულო ატრაქციონს. თითქმის მთელი წელიწადი გამოდიოდა რუმინეთში ოთარ რატიანი და ყველა მისი წარმოდგენა გაჭედილ დარბაზებში იმართებოდა. ერთ პატარა ქალაქში, სადაც მოძრავი ცირკი „შაპიტო“ ორი ათას მაყურებელს იტევდა, ოთხი ათასმა კაცმა დარბაზი ისე გაჭედა, რომ ცირკის ბრეზენტის სახურავი ჩამოინგრა. იღბლად მსხვერპლი არ ყოფილა. ბუქარესტში, უჩინმაჩინის წარმოდგენას დაესწრო მთელი დიპლომატიური კორპუსი, ყველა იმ ქვეყნების დიპლომატები, რომელთაც რუმინეთთან ურთიერთობა აქვთ. უცხოელებს იმდენად მოწონებიათ უჩინმაჩინი, რომ ერთ ჟურნალისტს უთქვამს: „საბჭოთა კავშირმა ჯერ „სპუტნიკებით“ გადაგვრია და ახლა უჩინმაჩინითო“. მეორე დღეს ჟურნალისტის ეს ფრაზა და აღფრთოვანებული რეცენზიები მსოფლიოს მრავალმა გაზეთმა დაბეჭდა.



ოთარ რატიანს 1975 წლის აპრილში ქ. ვორონეჟში შევხვდი. იგი წარმოდგენის დაწყებამდე ვინახულე: თავის უჩინმაჩინობაზე თქვა: „ძველი ფოკუსისა და თანამედროვე ტექნიკის, კერძოდ, რადიოტექნიკისა და ავტომატიკის სინთეზმა საშუალება მომცა, გავუჩინმაჩინებულიყავი“. ამ განმარტებიდან თუმცა ვერაფერი გავიგე, მაინც ჩავიწერე.

თავის უჩინმაჩინობაზე უფრო საოცარი ამბავიც მიამბო: ერთ ქალაქში წარმოდგენის შემდეგ კაცი მოვიდა, მთხოვა, ავადმყოფი ვარ, ვერავინ განმკურნა და შენ უნდა მიშველოო. ვუპასუხე: — მსახიობი ვარ და არა ექიმი-მეთქი. არ მომეშვა, ექიმიც ხარ და ყველაფერიო, გინდა თუ არა, განმკურნეო. რა გტკივა-მეთქი? — ალკოჰოლიკი ვარო. გულზე შემომეყარა, ვინ გეშვება? ვერაფრით რომ ვერ მოვიშორე, რაღაც ეშმაკად ვუთხარი: — ერთს არა და, ათი რომ მოგროვდებოდეთ, მაშინ ვცდიდი თქვენს განკურნებას-მეთქი. კარგიო, მითხრა და წავიდა.

ამოვისუნთქე, ვიფიქრე, გადავრჩი, მაგრამ ვაი შენს უჩინმაჩინს?! მეორე დღეს ცხრა გატიალებული ლოთი მომაყენა ამ „ჩემმა ნაცნობმა“, გვიმკურნალეო. დამასხა ცივმა ოფლმა, ვთქვი, რაც იქნება, იქნება: დღისით როცა დარბაზი ცარიელი იყო, ათივე ლოთი ცირკის არენაზე გავამწკრივე. დავუწყე მათ თვალების ბრიალი და ხელების ქნევა, მეც არ ვიცოდი რას ვაკეთებდი. ნახევარი საათი „ვუმკურნალე“. ლოთები წავიდნენ, მეც მალე რუმინეთში გავემგზავრე. ერთი წლის შემდეგ იმ ქალაქის მახლობლად მქონდა გასტროლები. მოვიდა ის პირველი ლოთი და მლოცავს: — ექვსმა სმას თავი დავანებეთ, ორი ისევ ლოთობს და ორის კი არაფერი ვიცით. რა უნდა მეთქვა, იქით გადავუხადე მადლობა...

ოთარ რატიანს ვკითხე, თბილისში როდის ჩამოხვალთ საგასტროლოდ-მეთქი?

— საგასტროლო გეგმებს საკავშირო კულტურის სამინისტრო ადგენს, ჩემზე არაა დამოკიდებული. აი, ახლაც განახლებულ, დიდ პროგრამას ვამზადებ და უკვე დამიგეგმეს მთელ რიგ უცხოეთის ქვეყნებში ხანგრძლივი გასტროლები. ისე კი, არათუ საგასტროლოდ, საცხოვრებლადაც სიამოვნებით დავბრუნდებოდი თბილისში.

ვორონეჟი — თბილისი

სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოროლენკოს წერილი დარია ვედრებისელისადმი

დარია ვედრებისელი სალიტერატურო ასპარეზზე გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა. მისი მოთხრობები და ნოველები იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. მწერალი ქალი თავის მოთხრობებში რუს მკითხველს აცნობდა მაშინდელი ქართველი გლეხის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას.

დარია ვედრებისელი — მალიაშვილი დაიბადა გორის მაზრის სოფელ ვედრებისში (თავისი ფსევდონიმი სოფლის სახელიდან აიღო). ლიტერატურული მოღვაწეობა მან ადრე დაიწყო. პირველად იგი „ნოვოე ობოზრენიეში" ბეჭდავდა მოთხრობებსა და ნარკვევებს, შემდეგ კი უფრო რთულ თემებს მოჰკიდა ხელი. 1898 წელს ჟურნალ „რუსსკოე ბოგატსტვოში" დაიბეჭდა მისი მოთხრობა „ხიზნები", რომელმაც სათანადო გამოხმაურება ჰპოვა რუსულ პრესაში.

ნ. მიხაილოვსკიმ მაღალი შეფასება მისცა მის მოთხრობებს. ცნობილმა რუსმა კრიტიკოსმა ა. სკაბიჩევსკიმ „ხიზნებს" ჟურნალ „სინ ოტეჩესტვოში" დიდი წერილი უძღვნა.

1908 წელს ცნობილმა პეტერბურგელმა გამომცემელმა ნ. გორბუნოვმა გამოსცა ვედრებისელის მოთხრობების კრებული „ნეტრონუტი უგოლოკი". ამ კრებულს თანაგრძნობით შეხვდა იმდროინდელი რუსული პრესა.

დარია ვედრებისელმა რუსულად თარგმნა ქართველ მწერალთა რამდენიმე მოთხრობა, მათ შორის ეგ. ნინოშვილის „პალიასტომის ტბა" და შიო არაგვისპირელის „ჩემო შვინდავ!"

ქართველი მწერლები ნინო ნაკაშიძე, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები სათანადოდ აფასებდნენ ვედრებისელის ლიტერატურულ მოღვაწეობას. დარია ვედრებისელი „ჯეჯილსა" და „ნაკადულში" თანამშრომლობდა.

მწერალ ქალს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუს საზოგადო მოღვაწეებთან, განსაკუთრებით გამოჩენილ მწერალ ვლადიმერ კოროლენკოსთან. ისინი ხშირად წერდნენ ერთმანეთს წერილებს.

დარია ვედრებისელის მეუღლე გახლდათ ცნობილი არქიტექტორი და საზოგადო მოღვაწე ანატოლი კალგინი. კალგინი 30-იან წლებში ჩემს მეზობლად ცხოვრობდა (რუსთაველის პრ. № 18), მან გადმომცა კოროლენკოს წერილი ვედრებისელისადმი. წერილი მწერალი ქალის ნარკვევს „ძეგლებს" ეხება, რომელიც მას დასაბეჭდად გაუგზავნია „რუსსკოე ბოგატსტოვოს" რედაქციაში.

ვაქვეყნებთ ამ წერილს.

ალ. სიგუა

„დიდად პატივცემულო

დარია კონსტანტინეს ასულო!

თქვენი ნარკვევი „ძეგლები" ჩემთან იყო და 18 სექტემბერს გავგზავნე უკანვე „რუსსკოე ბოგატსტვოს" რედაქციაში, სამწუხაროდ უარყოფითი შეფასებით. მივწერე რედაქციას, რომ თქვენ გამოგიგზავნონ ხელნაწერი. მე არაფერი მომიწერია თქვენთვის მაშინ, რადგანაც არ მქონდა თქვენი მისამართი.

თქვენ მწერთ, რომ ვერაფერი გამოიტანეთ იმ კრიტიკული შენიშვნებიდან, რომელიც თქვენი წიგნის შესახებ არის დაწერილი — „რუსსკოე ბოგატსტვოში". რედაქციისათვის წერილი მე არ დამიწერია და... არ მახსოვს მისი შინაარსი. მე მგონია, რომ თქვენ ნარკვევებს აზიანებს ერთგვარი ეთნოგრაფიული სიმშრალე. თქვენი გადმოცემა მოკლეა, ლაკონიური, ზუსტად ჰკვეცთ ფრაზებს.

თქვენი მოქმედი პირების ყოფაქცევის შესახებ: ჩვენ ვხედავთ მათ ტანსაცმელს, საცხოვრებელ ბინებს (ნაწილობრივ), მათი საუბრის მანერასაც, — საერთოდ მათს ეთნოგრაფიულ თავისებურებას, მაგრამ მათი სულიერი წყობის თავისებურებანი ჩვენთვის, როგორღაც დაფარულია. ამას უნდა დავუმატოთ გადმოცემის ზოგიერთი ნაკლოვანებანი.

ყოფა-ცხოვრება საინტერესოა, და თუ თქვენ შეეხებით მას არა მარტო ეთნოგრაფიული, არამედ საერთოდ ფსიქოლოგიური მხრითაც, ვიდრე ამას აქამდე აკეთებდით, — თქვენი მოთხრობები შეიძლება მნიშვნელოვან მოვლენად გამხდარიყო ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენში დღემდე საქართველოს, ისევე როგორც მთელ კავკასიას, აშუქებდნენ უფრო რომანტიკულად. თქვენ მას იხილავთ რეალურად, თავისი ყოველდღიურობით, ასე ვთქვათ, მის პროზაულ ცხოვრებას, — და ეს, რასაკვირველია, თქვენი ნარკვევების ღირსებაა.

გისურვებთ ყოველივე კარგს.

7 იანვარი 1903 წ.

ვლ. კოროლენკო".

უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან



## მაიაკოვსკი იტალიაში

ახლახან რომში დიდ საექსპოზიციო სასახლეში გაიხსნა გამოფენა „მაიაკოვსკი და მისი დრო". მაიაკოვსკის შემოქმედების გარდა აქ გამოფენილია ცნობილი საბჭოთა რეჟისორების, მაიაკოვსკის თანამედროვე კ. სტანისლავსკისა და ვ. მეირჰოლდის მიერ დადგმული სპექტაკლების ამსახველი ექსპონატები.

აქ გამოფენილია აგრეთვე ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების ამსახველი მრავალფეროვანი დოკუმენტური მასალა, ხელნაწერები, ილუსტრაციები, ფოტოები, სარეკლამო აფიშები, მოწოდებები, გრაფიკული ნამუშევრები, ჩანახატები, კარიკატურები.

გამოფენა მოაწყო იტალია-საბჭოთა კავშირის ასოციაციამ საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროსთან ერთად.

იტალია-საბჭოთა კავშირის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ჯელაზიო ადმოლიმ იზრუნა იმისათვის, რომ დამთვალიერებლებს ხელთ ჰქონოდათ მდიდარი ვრცელი კატალოგი ამ სამ ცნობილ ხელოვანზე.

ჯელაზიო ადმოლიმ განაცხადა: „ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა იტალიის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში".

გამოფენას დიდძალი ხალხი ნახულობს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პოეტის ნიჭის აღიარებას.



## პარიზში გაიხსნება პიკასოს მუზეუმი

ამ ცოტა ხნის წინათ პარიზის მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა გადაწყვეტილება პარიზში გაიხსნას პიკასოს მუზეუმი. ეს იდეა საფრანგეთის კულტურის მინისტრს მიშელ გიუის ეკუთვნის.

მუზეუმში გამოფენილი იქნება ის ძვირფასი კოლექცია, რომელიც დიდმა მხატვარმა საფრანგეთს აჩუქა.

პიკასოს ნამუშევართა გარდა, აქ ექსპონირებული იქნება მხატვრების: ლე ნენის, კოროს, ჩეზანე და მატისის ტილოები, რომელთა შეგროვებას მთელი სიცოცხლე მოანდომა მხატვარმა.

მუზეუმად შერჩეულია სასტუმრო „სალეს" შენობა, რომელიც ელისეის მინდვრებზე განლაგებულ ნაგებობათა შორის თავისი გრანდიოზულობით გამოირჩევა. იგი მდებარეობს დე თორნისის ქუჩაზე, მარეს კვარტალში. სასტუმროს რკინის დიდი რიკულებიანი მოაჯირი მთელ პარიზს გადაჰყურებს, მისი რეკონსტრუქციისა და რესტავრაციისათვის გამოყოფილია სამი მილიარდი ლირა.

# პირთეთრა



მაის-ივნისის თვეებში მტკვრის სანაპიროზე, ხრიოკ ადგილებში, კლდის ნაპირებსა და ნაშალ ნიადაგზე ყურადღებას იქცევს თეთრად მოქათქათე ყვავილებით დამშვენებული პატარა ბუჩქი, რომელსაც პირთეთრას ეძახიან. ეს ვერცხლისფერი მცენარე თბილისში და ისიც მხოლოდ მდინარე მტკვრის სანაპიროზე ხარობს.

პირთეთრა მიხაკთა ოჯახის წარმომადგენელი მრავალწლიანი მცენარეა. ღეროს სიმაღლე 10–30 სანტიმეტრი, ყვავილის გვირგვინის ფურცლები 2–3 სანტიმეტრი სიგრძისაა, გვირგვინისა და ჯამის ფურცლები ხუთ-ხუთი აქვს. მას ათი მტვრიანა და კოლოფა ნაყოფი აქვს; იგი მხოლოდ თესლით მრავლდება.

პირთეთრას ყვავილები რიგრიგობით იშლება — ჯერ იშლება ერთი, შემდეგ მეორე, მეორეს მესამე ცვლის და ა. შ.

პირთეთრა ლამაზი დეკორატიული მცენარეა, მისი გავრცელებისა და შეგუების არეალი მიგვანიშნებს, რომ ამ მცენარით შეიძლება დავამშვენოთ თბილისის ხრიოკი შემოგარენი.

ივლისის პირველ დეკადაში პირთეთრას მიწის ზედა ნაწილი კვდება (იგი ხომ ხრიოკ და ურწყავ ადგილებში ვრცელდება). მომდევნო წლის გაზაფხულზე, როცა მრავალფერი ყვავილები მოქარგავენ თბილისის მიდამოებს, პირთეთრა კვლავ ამშვენებს მტკვრის სანაპიროს, თავისი ჯგუფ-ჯგუფად მოყვავილე, ქათქათა ყვავილებით.

პირთეთრაზე გავრცელებულია ლეგენდა:

„— ვერ გამოგყვები, ომების ცქერამ დამღალა, — უთხრა ერთხელ მთვარემ ღამეს და ცივი ღიმილით გზა დაულოცა. ღამე მოიღუშა, ალმასის კარავში დატოვა ვარსკვლავთა გვირგვინი და ქვეყანას მოევლინა.

სდუმდა თბილისი.

გულჩათხრობილი იდგა მთაწმინდა, სუსტი ქარი ნელა არხევდა ხეთა რტოებს. ზანტად მოედინებოდა მტკვარი. აქა-იქ, მიმქრალ კოცონებთან, მეომარნი მიწოლილიყვნენ. დასვენებას ცდილობდნენ, ძილი არ ეკარებოდათ — ბრძოლის წინ დიდი იყო მღელვარება.

დილით ჩალმიანი მტერი შემოესია საქრისტიანოს... სისხლით მოირწყო მიწა. უთანასწორო ბრძოლაში განახევრდნენ ქართველები, ტაძრებში შეწყდა ზარების რეკვა. მოლას მოთქმამ მოეფინა ქალაქს

დაინგრა თბილისი, ზეიმობდა მტერი ათასობით რჩეული ქალი და ვაჟი სპარსეთს წაასხეს. მხოლოდ ერთ ტყვეს ექცეოდნენ მორიდებით, ფარჩით მოფენილი ტახტრევანით მიჰყავდათ მზის სადარი ქალი. შაჰის სასახლეში შადრევნებს შორის დაუდეს ბინა. მის გასართობად იადონი გალობდა. ქალი მჭმუნვარედ იყო. აგონდებოდა ცა-ფირუზი საქართველო და სატრფოს ჩურჩული — „პირთეთრავ ჩემო“... აგონდებოდა ტყვეთა გოდება და მტრით სავსე სამშობლო...

ქალს ხოტბას ასხამდნენ მგოსნები. მარგალიტებით დამძიმდა კაბა.

— ბედნიერი ხარ? — ჰკითხავდა ხოლმე მას შაჰი.

— უბედური! — იყო პასუხი.

როცა ზამთარი ილეოდა, პირთეთრამ განგმირა შაჰი და სამშობლოში გამოიპარა.

თბილისთან დაეწიენ მდევრები. იმ ადგილზე, სადაც მდევრებმა ქალს მახვილით გაუპეს გული, უცხო მცენარე აღმოცენდა, მოვერცხლისფრო ფოთლებით, ქათქათა ყვავილებით. ქართველებმა მას „პირთეთრა“ შეარქვეს.

გაზაფხულზე ტურფად მოირთო ბუნება, მოფრინდა მერცხალი. საქართველო ისევ გალაღებული რომ იხილა, გაკვირვებულმა თავის ბარტყს უთხრა:

— მრავალჯერ დაანგრია მტერმა ეს ქალაქი, მაგრამ ხერხემალი ვერ ჩაუნგრიეს. აი, პირთეთრა, ხედავ, როგორ მზრუნველობით ევლება გარს თბილისს! მთელი დედამიწის ზურგზე ვერსად ნახავ ასეთ ყვავილს, იგი მხოლოდ თბილისის მისადგომებთან ხარობს — სადმე თუ შენიშნა კლდოვანი ადგილი, იქ ამოდის, რათა სამშობლო დაამშვენოს...

მერცხლები გაფრინდნენ, პირთეთრამ მათ ღიმილი დაადევნა...“

ბევრის მთქმელია ეს ლეგენდა. იგი მოგვაგონებს ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-ერთ შემზარავ ეპიზოდს — უთანასწორო ბრძოლას ვერაგულად თავდასხმულ მტრის ურდოებთან.

ყოველ გაზაფხულზე თეთრ საქორწილო კაბაში გამოწყობილი პირთეთრა — თბილისის დედას, რომელსაც ერთ ხელში ჯამი, ხოლო მეორეში მახვილი უჭირავს, მოწიწებით ესალმება.

გიორგი დათუაშვილი

# ჭრელ-ჭრელი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლუჩია ბოზე — პიკასოს მემკვიდრე

პიკასოს გარდაცვალების შემდეგ პირდაპირი მემკვიდრე არავინ დარჩა. ფიქრობენ, მისი ქონება გადასცენ ცნობილ კინოვარსკვლავს ლუჩია ბოზეს, რომელიც დიდ მხატვარს დედის მხრიდან ენათესავება.

**ფოტოზე: ლუჩია ბოზე** ვაჟიშვილთან ერთად.



## სოფი ლორენის ორეული

შილა გაბელმა კინოში მოღვაწეობა სოფი ლორენის წყალობით დაიწყო. როგორც მისი ორეული, იგი რამდენიმე წელი დაჰყვებოდა გადაღებებზე სოფი ლორენს. როცა მსახიობი ქალი იღლებოდა, ზოგიერთ გადაღებაში ცვლიდა მისი ორეული — შილა გაბელი.

ამ ბოლო ხანებში შილა გაბელმა თავი დააღწია „მონობას“ და დამოუკიდებლად ითამაშა ფილმში „პური და ღვინო“, ტელეფილმში — „თავდასხმა ძმებ როზელებზე“.

ცოტა ხნის წინათ მსახიობმა ქალმა შეწყვიტა კინოში მუშაობა, რადგან ბავშვს ელოდება (შილა გაბელი მეუღლეა კინორეჟისორი პიერო სკავაცაპე).

შილა გაბელმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა: „ახლა აღარ მეშინია, უკან დარჩა ორეული, ბავშვს გავაჩენ თუ არა, ისევ კინოში განვაგრძობ მუშაობას“.

**ფოტოზე: შილა გაბელი.**



## ინციდენტი მაღაზიაში

ლოს-ანჟელოსის დიდ მაღაზიებში ქურდობა ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა აქ ქურდის დასაჭერად ბევრი საშუალება გააჩნიათ. კინო და ტელევიზორები, დაქირავებული აგენტები მაღაზიის ყველა კუთხიდან ადევნებენ თვალს მყიდველებს, სპეციალური მანქანები სალაროებს ამოწმებენ, და ა. შ.

ამას წინათ ერთი აგენტის ყურადღება მიიქცია მდიდრულად ჩაცმულმა ელეგანტურმა ქალბატონმა, რომელიც თაროებიდან მოურიდებლად იღებდა სხვადასხვა ნივთს და ქურქში მალავდა. ქალბატონი მერე აუღელვებლად გაემართა გასასვლელისაკენ. აქ იგი პოლიციის აგენტმა შეაჩერა და ზრდილობიანად სთხოვა, ქურქის კალთები გადაეწია.

ქალმა ყვირილი ატეხა. შეიყარა ხალხი, მოვიდა დირექტორი. ყველამ იცნო „ქურდი“.

საქციელწამხდარმა დირექტორმა ქალს მიმართა:



**ფოტოზე: ბარბარა სტრეიზანდი.**

— ქალბატონო, დიდად ვწუხვარ, ეს ამბავი რომ მოხდა, მაგრამ თუ მაღაზიას ნივთებს დაუბრუნებთ, ყველაფერი რიგზე იქნება!

ქალმა ქურქი გაიხადა. მოპარული აღმოჩნდა რამდენიმე პომადა, წამწამების საღებავი, სხვადასხვა ტონი, კოსმეტიკური იარაღები და სხვა წვრილმანი, რომლის ღირებულება ძალზე მცირე თანხას შეადგენდა.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს ლოს-ანჟელოსს, ხმამ ჰოლივუდამდეც მიაღწია, მაგრამ აქ ეს არავის გაჰკვირვებია, რადგან სახელგანთქმულ კინოვარსკვლავს ბარბარა სტრეიზანდს, რომელიც ჩვენი მაყურებლისათვის ცნობილია ფილმით „სასაცილო გოგონა“, ეს ადრეც შემთხვევა ნიუ-იორკის დიდ მაღაზიაში.

ეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც განებივრებულია წარმატებებით და აურაცხელი სიმდიდრის პატრონია, დაავადებულია კლეპტომანიით, რომლის განკურნება თითქმის შეუძლებელია.

მისი მკურნალი ექიმი ამტკიცებს, რომ ეს მსახიობი ქალის ცხოვრების სენტიმენტალობით არის გამოწვეული.

# იტალიური იუმორი



— ძვირფასო, კიდევ დიდხანს მომიხდება სამზარეულოში ყოფნა, ბოლოს და ბოლოს მალე გაგიშრება ფრჩხილები?




— ექიმო, მიშველეთ, სენიორ ბიანკი ამოიღეთ მძიმე ავადმყოფთა სიიდან!





ცოლი: — ვიმედოვნებ, ახლა მანქანაში აღარ შეგვცივდება!

შვილი ელოდება მამას, გაკვეთილები რომ მოამზადებინოს.

მამა: — ოჰ, დავიღალე, არ შემიძლია, ჩავრთოთ რადიო, ახლა მოსწავლეთათვის არის გადაცემა, იქნებ დაგვეხმაროს.

ერთი გლეხი გზაზე მიდიოდა. დაინახა იქვე ბუჩქებში რაღაცა ბრჭყვიალებდა, სარკე აღმოჩნდა. გლეხს სარკე თავის სიცოცხლეში არ ენახა. ჩაიხედა შიგ და თავისი გამოსახულება რომ დაინახა, თქვა:

— ეს ჩემი საყვარელი მამის სახეა, რა კარგია, თავისი სურათი რომ დამიტოვა.

სარკე სახლში წაიღო და ბალიშის ქვეშ შეინახა.

რამდენიმე დღის შემდეგ გლეხის ცოლი ლოგინს ალაგებდა და სარკე იპოვა. რა თქმა უნდა, ადრე არც მას ენახა ეს საგანი, შიგ რომ ჩაიხედა, გაბრაზებით თქვა:

— ხედავთ, ამ ჩემს წყეულ ქმარს რა ბებრუცუნასთან ჰქონია საქმე!

●●●

— იცით, ექიმო, — უთხრა ავადმყოფმა თავის მკურნალ ექიმს, საავადმყოფოს ექიმები არ დაეთანხმნენ თქვენს მიერ დასმულ დიაგნოზს.

— არ ვედავები მათ, აუტოპსია (გაკვეთა) დაამტკიცებს, ვინ არის ჩვენს შორის მართალი.

●●●

— ძვირფასო, შენი ქმარი ამ საღამოს მეტად ელეგანტურად გამოიყურება, ისეთ ფორმაშია, როგორც არასდროს — ლამაზი, მომხიბლავი, ალბათ, ახალი ვარცხნილობის წყალობით?!

— არა გეთაყვა, ვარცხნილობა რა შუაშია? ქმარია ახალი!

●●●

ერთმა იტალიურმა ჟურნალმა ანეგდოტებზე კონკურსი გამოაცხადა. გამარჯვებულს ერთ ანეგდოტში 4.000 ლირა ეძლეოდა.

ერთი ბიჭუნა სკოლიდან შინ დაბრუნდა და დედასთან დაიტრაბახა:

— მე ყველაზე მეტი ანეგდოტი მაქვს იქ გასაგზავნად!

— საიდან, შვილო? — დაინტერესდა დედა.

— შენი და მამას ამბები, — მშვიდად მიუგო შვილმა.

იტალიურიდან თარგმნა ზაირა სტურუამ

## ჟურნალ „დროშის“ № 6-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად: 4. კრამსკოი. 7. ჰიმალაი. 8. ანეკდოტი. 10. ტივი. 12. აცეტატი. 13. ბრიგადა. 14. ადლერი. 17. „მაზეპა“. 18. გლიომა. 19. ენდემი. 20. ბორანი. 22. ნეგუსი. 24. ბიჭუნა. 26. აბსენტი. 27. ქალშავა. 28. ფარი. 29. სმოკინგი. 30. დეფექტი. 31. ოვიდიუსი.

ვერტიკალურად: 1. ირლანდია. 2. ასუანი. 3. კოქედუბი. 5. დიოგენე. 6. ატამანი. 9. ბატალიონი. 11. დიაგონალი. 15. დენდი. 16. რამინ. 21. აქსიომა. 23. გრანატა. 24. ბილინგვა. 25. აქილევსი. 28. ფრიადი.

გარეკანის პირველ გვერდზე:
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნანი ბრეგვაძე
ვასილ მალიშევის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 9/VI-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VII-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52 100 შეკვ. № 2372 უე 01976 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



ზედაშროშელი მექოთნე გიორგი (ჟორა) ლაბაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

შროშელი მექოთნე ალიოშა ღონღაძე.



ცხენი ჯერ კიდევ საუკეთესო სამუშაო ძალაა შროშელი მექოთნისათვის

ანზორ გოგოლაძის ფოტო

შროშის კერამიკის საამქროს ნაწარმი მზადაა რეალიზაციისათვის.

# შროშელი მექოთნეები





ექსპედიციის წევრები აბანოს ტერიტორიაზე.



ნოქალაქევის გალავნის მთავარი შესასვლელი.

ИНДЕКС 76056

სამარხების გაწმენდა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს



რ. მხეიძის ფოტო

# ნოქალაქევი — არქეოპოლისი

სამარხებში ნაპოვნი ზოგიერთი ნივთი.



ერთ-ერთი ქვევრსამარხის გახსნა.

